


619

1991

ISSN 0130—1624



036060 № 6 1991

ქართული



დროშა

№ 6. ივნისი (654). 1991

**დაგოუკიდავლი
ყოველთვიური საზოგადოა-
რივ-პოლიტიკური და სალი-
ტერატურო-სამხატვრო
ჟურნალი**

ზინაარსი:

კლიმენტ ელიზბარაშვილი. სა-
ქონელი, ბაზარი, ფასი.
ვლადიმერ ბუკოვსკი. „ახლა
თქვენ ხართ საკპრობილში,
მე კი თავისუფალი ვარ“.
სვებლანა ალექსევიჩი. „ცინ-
კის“ გიჟები.
კარმინე პასარელი. ლექსები
საქართველოში.
ვასილ გვებაძე. ნიკორწმინდა.
ილია რურუა. ქრისტინა არაბი
(მოთხრობა).
ლეილა კინწურაშვილი. ანსა-
მბლი „მეანნი“.
ქეთინო ღუმბაძე. „ცნობისმო-
ყვარეობას მეგობრობამდე მივ-
ყავართ“.
ლორეინ ანდერსონი. ფლეიტა
(მოთხრობა).
ეთერ ლონდარიძე. ჩემო კარგო
ქვეყანა!
როზე ნოილანდი. კრისტალი
და ალი (მოთხრობა).
სალვადორ დალი. ზიგნებიდან
„ვნებანი დალის მიხედვით“
და „გენოსის დღიური“.
გივი გამგეაძე. ედინო ქა
„მეფისა“.
ნუნუ კუპაკიშვილი. ეწვიეთ
დიდის ბაზარს!

მთავარი რედაქტორის მაგიერ
გულნარა ბახტაძე

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე (ახალბეებელი
წიგანი), ოთარ ბერიშვილი, ვასილ
ზვებაძე, ნათელა ბიორგოზიანი,
ოთარ დემეტრაშვილი, ვახტანგ
მჭვანჯია, დინარა ნოდია (მხატვარ-
რედაქტორი), თენგივ საშოსაძე.



ეს ადამიანები საქმის დიდმა სიყვარულმა და ერთ-
გულეობამ შეაკავშირა.

ვინ მოთვლის, რამდენჯერ დაუტკბია მკითხველის
თვალი და გული მათ ნახელავს. თვითონაც რამდენჯერ
უგემნიათ ამ ტკბობით გამოწვეული სიხარული.

ხუმრობა საქმე როდია, ათეული წლები ემსახურო
ერთ საქმეს, ემსახურო ერთგულად, უღალატოდ, თავ-
დადებით.

დავყურებთ ჟურნალის გარეკანს, ვფურცლავთ მის
მხატვრულად გაფორმებულ ჩანართს და, ხშირად არც კი
ვუფიქრდებით, რომ მის უკან ადამიანი დგას, რომელიც
ვინ იცის, როგორი რუდუნებითა და სისათუთით, სიფა-
ქიზითა და სიფრთხილით თავს დასტრიალებს „ჭკვიან
მანქანას“ და პატარა ბავშვის სიხარულით ელოდება
ჟურნალის ყოველი ნომრის გარეკანისა და ჩანართის
„დაბადებას“.

აი ისინიც: გურამ ჯაფარიძე, ჯემალ კახნიაშვილი, გი-
ორგი გოგიჩაიშვილი, ვაჟა მაკასარაშვილი.

ძნელია რომელიმე მათგანი გამოყო, გამოარჩიო.
თუმცა, რასაკვირველია, აქვთ პირადული, ერთმანეთისა-
გან განსხვავებული თვისებებიც. მთავარი კი მაინც ის
არის, რომ უყვართ თავიანთი პროფესია, უყვართ კო-
ლექტივი და ერთმანეთი.

ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული ბუდობსო, სწორედ
რომ მათზეა ნათქვამი.

საამქროს თავკაცი გურამ გვენეტაძეც ამაყობს თავი-
სი ერთგული „ბიჭებით“, უღალატონი არიანო, ამბობს
გურამი და ჩვენიც ვეთანხმებით.

და ეს ერთი შეხედვით „უჩინარი“ პროფესიის ადა-
მიანები, დიახაც რომ გამოირჩევიან თავიანთ კოლექტივ-
ში, არ აკლიათ ყურადღება, დაფასება, ჩილდოები, მად-
ლობები...

გვინდა ჩვენი ჟურნალის მრავალათასიანმა მკითხ-
ველმაც იცოდეს მათი სახელები, იცნობდეს და პატივს
სცემდეს მათ.



აზარს, როგორც საქონელგაცვლის სფეროს, საფუძვლად უდევს შრომის საზოგადოებრივი დანაწილება და მესაკუთრეობა. ამიტომ აქვს მას ათასწლოვანი ისტორია. იგი ჯეროვან როლს ასრულებდა საქართველოს სამეურნეო და კულტურულ განვითარებაშიც. მეტიც, ლიტერატურული წყაროების მიხედვით, კახეთის სამეფოს მნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრი ყოფილა ქ. ბაზარი, რომელიც დღევანდელი ბელაქანიდან 16 კილომეტრის დაშორებით მდებარეობდა. იგი შაჰ-აბას I-ის ლაშქრობის „მსხვერპლი“ გახდა. ფულის გაჩენამ ძირეულად შეცვალა საბაზრო ურთიერთობის ხასიათი და ის საქონელგაცვლის მარტივი ფორმიდან თანამედროვე ცივილიზებულ დონემდე აიყვანა. ახლანდელი ბაზარი, რასაც განვითარებულ ქვეყნებში მარკეტინგს უწოდებენ. მოიცავს არა მარტო საქონელგაცვლას, არამედ მოითხოვს თვით საქონლის ხარისხისა და ასორტიმენტის ცოდნას, რეკლამას, გარიგებას, აგრეთვე მოხმარების თავისებურებების გათვალისწინებასაც.

ამასთან, საბაზრო ურთიერთობა განპირობებულია ღირებულების კანონის მოქმედებით ნაკარნახევი მოთხოვნებით. ამ გარემოებას, სამწუხაროდ, ჩვენში ყურადღება არ ექცეოდა. არც თუ იხე შორეულ წარსულში, ღირებულების კანონის მნიშვნელობის გარკვევისას წარმოიშობოდა მომდევნო კითხვა, რათა გაგვერკვია ის, თუ რომელ ფორმაციას ეხებოდა საქმე: კაპიტალიზმს თუ სოციალიზმს. აქედან გამომდინარე, ვამბობდით:

— იქ საქონლის წარმოებას ახორციელებენ კერძო საქონელმწარმოებლები, აქ კი, პირიქით, საქონელმწარმოება ჩაყენებულია სახელმწიფო ჩარჩოებში;

— იქ მოქმედებს კონკურენციისა და კაპიტალის კანონი, აქ კი, პირიქით, ღირებულების კანონის მოქმედება შეზღუდულია სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების მოქმედებით;

— იქ არსებულ წარმოებასა და გაცვლას სტიქიური ხასიათი აქვს, აქ კი, პირიქით, ყველაფერი ორგანიზებულია სოციალისტური სახელმწიფოს მთელი მეურნეობრივი საქმიანობით;

— იქ წარმოება ბრმად მომუშავე მესაკუთრეთა ხელშია და ამდენად ფასებიც სტიქიურად მერყეობს, აქ კი, პირიქით, სახელმწიფო მართავს

წარმოებას და გეგმიანი წესით აწესებს ფასებს;

— იქ ღირებულების კანონი მოქმედებს როგორც სტიქიური ძალა და ამდენად ბატონობს ადამიანებზე, აქ კი, პირიქით, სწორედ იგი ეხმარება მუშაკებს, რათა რაციონალურად უხელმძღვანელონ წარმოებას;

— იქ ღირებულების კანონის გარდუვალი თანამგზავრია კრიზისები და უმუშევრობა, აქ კი, პირიქით, მისი მეშვეობით ვალწევთ წარმოების ზრდის მაღალ ტემპებს.

აქედან გამომდინარე „ვამტკიცებდით“, რომ იქ მაქსიმალური კაპიტალისტური მოგებისათვის ბრძოლა მშრომელთა მასობრივ სილატაკეს იწვევს, ეს მაშინ, როცა ჩვენში საბჭოთა სახელმწიფო თანმიმდევრულად ახორციელებს მოხმარების საგნების ფასების შემცირების პოლიტიკას ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისათვის.

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ამაღლებისა და ღირებულების კანონის არსის ასეთმა ხელოვნურმა მიჩუმათებამ მიგვიყვანა კრიზისულ მდგომარეობამდე და, აქედან გამომდინარე, საბაზრო ეკონომიკის შემოღებისა და აღორძინება-განვითარების აუცილებლობამდე.

სწორედ წარმოების საშუალებათა ე. წ. საზოგადოებრივი საკუთრებისა და სახალხო მეურნეობის ასევე ე. წ. გეგმაზომიერი განვითარების შედეგად აღმოჩნდა კრიზისულ მდგომარეობაში სსრ კავშირის, კერძოდ, ჩვენი, საქართველოს ეკონომიკა. არადა, მარტო ერთ, გასულ 1990 წელს, საქართველოს რესპუბლიკაში წარმოებული ეროვნული შემოსავალი (9,8 მლრდ. მან.) 4,3 პროცენტით შემცირდა, საზოგადო-



საქონლი- ბაზარი- ვასი

ებრივი შრომისნაყოფიერება კი 3,8 პროცენტით დაეცა. კიდევ უფრო მოიშალა ისედაც გაპარტახებული სამომხმარებლო ბაზარი. მოსახლეობამ ვერ მიიღო ათიათასობით ტონა ხორცეული, რძე და რძის პროდუქტები, კარტოფილი, ხილი, ბოსტნეული...

ცივილიზებული სამყაროს თანამედროვე ბაზრის ევოლუციურ განვითარებას, როგორც ზემოთ ითქვა, საუკუნეები დასჭირდა. იგი ქინემასტიკიდან (ფულის დაგროვების ხელოვნება) ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიღაკვთ ბერკეტად იქცა. საბჭოთა იმპერიული ხელისუფლება კი, ერთი ხელის დაკვრით ლამობს გარდაქმნას ვაჭრობა და რევოლუციური სულის შებერვით „გააკეთილშობილოს“ იგი. ეს კი იმაზე უარესია, რითაც გვინდოდა გაძვალტყავებული რუსეთი ასწლეულობით წინ მყოფი დასავლეთისათვის მიგვეახლოვებინა და გავგვესწრო კიდევ.

ამის საუკეთესო ნიმუშია სსრ კავშირის პრეზიდენტის მიხეილ გორბა-





ჩოგის 1991 წლის 19 მარტის რე-
მუნდოანი ბრძანებულება და მინი-
სტრთა კაბინეტის მიერ იმავე დღეს
მიღებული დოკუმენტები საცალო
ფასების რეფორმისა და მოსახლე-
ობის სოციალური დაცვის შესახებ.

ამიტომ ააფორიაქა აღნიშნულმა
„ღონისძიებამ“ ყოველი ჩვენგანი.
ასეა, რადგან: ჯერ ერთი, რეფორმით
ნავარაუდევია კომპენსაცია იმაზე ერ-
თობ ნაკლებია, რის გადახდაც უწევს
მოსახლეობას; მეორე, სახალხო
მოხმარების საქონელზე საცალო
ფასების მატების ასეთი მასშტაბი
ისტორიას არ ახსოვს. ოცდაორი ძი-
რითადი დასახელების სურსათ-სა-
ნოვაციის საცალო ფასების ზრდის
საშუალო ტემპი 237 პროცენტია —
350, რძისა და მისი პროდუქტებისა
კი — 200 პროცენტი. საშუალოდ
1,9-ჯერ გადიდა ოცდაშვიდი დასა-
ხელების არასასურსათო საქონლისა
და ნაწარმის ფასები. მეტიც, სამწუ-
ხაროდ, უფრო მეტად გაიზარდა მო-
ზარდთა და მოსწავლე ახალგაზრდო-
ბისათვის განკუთვნილი ჩასაცმელ-
დასახურის ფასები. სასკოლო ფორ-
მების შესაკერი ქსოვილის საცალო
ფასები გადიდა 4,13-ჯერ, საბავ-
შვო თხილამურებისა — 3,4-ჯერ,
საწერი რვეულებისა — 10-ჯერ...
ეს კი, მეტი რომ არ ვთქვით, სირცხ-
ვილია! შესამე, დაუსაბუთებლად
მოიმატა აგრეთვე რკინიგზის, საავი-
აციო და საზღვაო ტრანსპორტისა
და კავშირგაბმულობის მომსახურე-
ბის გადასახადებმა და ტარიფებმა.
მეოთხე, შესაბამისად დოკუმენტებ-
ში და, მაშასადამე, მოსახლეობის
საკომპენსაციო ნაწილში ხსენებუ-
ლიც კი არ არის კოპერატიული და
საკოლმეურნეო ვაჭრობა.

სახელმწიფო, რომელიც წარმო-
ებული დოვლათის განაწილება-გა-
დანაწილების ურთიერთობას აფუძ-
ნებს არა ღირებულების ობიექტურ
ეკონომიკური კანონის მოთხოვ-
ნებსა და აქედან გამომდინარე, იგი-
ვე დოვლათის გადიდების აუცილებ-
ლობაზე, არამედ მხოლოდ მოთხოვ-
ნა-მოწოდების ხელოვნურ მექანიზმ-
ზე, რაც თავის მხრივ ვერა და ვერ
პგუობს მუდმივად მზარდ საზოგადო-
ებრივ მოთხოვნილებათა ზოგადსა-
კაცობრიო პრინციპებს, ვერ იქნება
ხალხის ინტერესების დამცველი.
იგი დასაღუპავადაა განწირული.

საცალო ფასების ასეთი კოლოსა-
ლური მომატება გამოწვეულია არა
იმდენად საბაზრო ეკონომიკაზე გა-
დასვლით, როგორც ამას ზოგიერთი
ვარაუდობს, არამედ ქვეყნის „გადა-
ტაკებული“ ბიუჯეტის შევსების
განზრახვით. ბაზარი ბაზარია და იგი
სახალხო მოხმარების საქონელზე
უნდა რეაგირებდეს. ფაქტობრივად,
როგორც ზემოთ ითქვა, არსებითად
გაიზარდა ტრანსპორტისა და კავშირ-
გაბმულობის მომსახურების განაკვე-
თებიც. არადა, რეალურმა საბაზრო
ურთიერთობამ, კერძოდ, პრივატი-
ზებულ, ე.წ. განსახელმწიფოებრი-
ვებულ საწარმოთა თავისუფალმა
კონკურენციამ, რაც ჩვენ არ გავკა-
ჩინა, თავად უნდა მოაწესრიგოს ყო-
ველგვარი ფასების დონე.

დაბოლოს, ორიოდ სიტყვა ახალი
საცალო ფასების სტრუქტურის შე-
სახებ. ისინი სამ დონეზეა წარმო-
დგენილი. პირველს სახელმწიფო
ფიქსირებული ანუ ზღვრული ფასე-
ბი ეწოდება. სამივე „ვრცელდება“
მთლიანი საქონელბრუნვის დაახლო-
ებით 55 პროცენტზე და მოიცავს:
კვების პროდუქტებს, ქსოვილებს
ბავშვთა საქონელს და მგზავრთა გა-

დაყვანის ტარიფებს; მეორეა, ე. წ.
რეგულირებადი საცალო ფასები,
რომელიც დაწესებულია უმეტესად
მოდური სახის საქონელზე, კულტურ-
ულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულე-
ბის ნაწარმზე და მსუბუქ ავტომო-
ბილზე. მათი ხვედრითი წილი საერ-
თო საქონელბრუნვის დაახლოებით
15 პროცენტს შეადგენს. საცალო
ფასების მესამე სახეა სახელშეკრუ-
ლებო ანუ თავისუფალი ფასები. ამ-
გვარი საქონლის ნუსხაში შედის ძი-
რითადად იმპორტული და მსუბუქი
მრეწველობის პროდუქცია.

არსებითი განსხვავება არსებობს
დასახელებული ფასების გამოყენე-
ბის მექანიზმშიც. ზღვრულ ფასებს
სახელმწიფო აწესებს და ამრიგად,
მათი გადიდება არ შეიძლება (შე-
მცირება დაიშვება), მაშინ, როცა
რეგულირებადი ფასები დგინდება
მწარმოებელთა რენტაბელობის
(მომგებიანობის) დონის შესაბამი-
სად. თავისუფალი ფასები კი განი-
საზღვრება მწარმოებელსა და გამსა-
ლებელ-მომხმარებელს შორის წი-
ნასწარ დადებული შეთანხმების ანუ
ხელშეკრულების საფუძველზე.

და ერთიც, მკითხველს მინდა ვა-
უწყო, რომ ჯერ-ჯერობით საქარ-
თველოში შემუშავებული არ არის
საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია
და მასზე გადასვლის კონკრეტული
გზები. ამ საკითხებზე არსებული
საკავშირო აქტები და კანონები
ჩვენთვის მიუღებელია. ისინი ვერ
ასახვენ რესპუბლიკის ეროვნულ,
ბუნებრივ-ისტორიულ და სოცია-
ლურ-ეკონომიკური განვითარების
მრავალფეროვან თავისებურებებს.
საქართველოს რესპუბლიკის პარლა-
მენტი უთუოდ მალე მიიღებს მათ.

კლიმენტ ელიზბარაშვილი

19.12.7

„ახლა თქვენა ხართ საპრობლემო,

მე კი თავისუფალი ვარ“

ვლადიმერ ბუკოვსკი

პოლიტიკური დიალოგი

ყოფილი პოლიტპატიმარი, რომელმაც თორმეტი წელი საბჭოთა „ფსიხუშკებში“, ციხეებსა და ბანაკებში გაატარა, 1977 წელს გაცვალეს პორტუგალიის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანზე ლუის კორვალანზე. მას შემდეგ თოთხმეტი წელი გავიდა. 1991 წლის აპრილში ინგლისის ამჟამინდელი ქვეშევრდომი ბორის ელცინის მოწვევით მოსკოვს ესტუმრა. ვთავაზობთ „ოგონიოკის“ სპეციალური კორესპონდენტის ილია მილშტეინის საუბარს ვლადიმერ ბუკოვსკისთან.

ი. მ. თქვენ დასტოვეთ რიგების, მოქალაქეთა ტოტალური დათრგუნვისა და სხვაგვარად მოაზროვნეთათვის პოლიტბანაკების ქვეყანა, ხოლო დაბრუნდით უკიდვგანო თავისუფლების, ლოკალური სამოქალაქო ომებისა და რიგების ქვეყანაში. მოგმართავთ კითხვით, რომლითაც ხვდებიან ყოველ ემიგრანტს: რა ვქნათ?

ვ. ბ. გაიფიცეთ. მოეშვით ამ პარაზიტებს. რაც მე მაოცებს, ეს თქვენი მზადყოფნაა, პასიურად ჩაძლდეთ. მე ზოგჯერ მეეჭვება: იქნებ რუსი არა ვარ, სხვა ვინმე ვარ. ეს ველურობაა. თქვენ რა არ გესმით: ზამთრისათვის თქვენთან შიმშილი დაიწყება. გორბაჩოვი თავის ნებით არ წავა. არც სუკი-ი წავა თავის ნებით. მაშასადამე, ისინი სროლას დაიწყებენ. ეს როგორ: მალაროელეები გაიფიცენ, თავისათვის კი არა — საერთო საქმისათვის, თქვენ კი სამუშაოზე დადიხართ...

ი. მ. ხვალ თუ მე სამსახურში არ წავედი და ასევე მოიქცნენ ჩემი კოლეგები, უბრალოდ „ოგონიოკი“ არ გამოვა და თანამოქალაქეები ვერ გაიგონებენ თქვენს მოწოდებებს.

ვ. ბ. ყურნალისტებზე არაა ლაბარაკი. მე წარმოებაზე ვამბობ. მე ბანაკის კაცი ვარ, ერთი პატიმარი თუ შიმშილობს, მაშინ მთელი ბანაკი შიმშილობს. ქვეყანა უნდა გაიფიცოს. ხალხი უნდა აღდგეს და კომუნისტებს უთხრას: წადით!

ი. მ. და რა მოხდება ამ შემთხვევაში?

ვ. ბ. რა მოხდება? მათ ბევრი ტანკი აქვთ. როცა ისინი მიმართულია დასავლეთისაკენ, ეს საშიშია. მაგრამ, რუსეთი დიდია. მე ხუმრობით ვიანგარიშე ჩემთვის, რომ ერთ ტანკზე აქ 327 კმ მოდის. და აი, წარმოიდგინეთ ტანკი, რომელიც საღდაც ტიუმენში გაიჭედა. ბევრ რამეს მოიმოქმედებს ის?

ი. მ. მათ მარტოოდენ ტანკები როდი აქვთ?

ვ. ბ. ჰოდა, როგორც გენებოთ, როგორც გენებოთ. სანამ ვაყვაცობა არ გყოფნით. არც ძეხვი გექნებათ.

ი. მ. მაპატიეთ, მაგრამ ძეხვის გულისათვის მე ტანკს წინ ვერ დავუდგები. მოქალაქეობრივი დაუმორჩილებლობის აქციისაკენ ადამიანებს საკუთარი თავის, ახლობლების, ბავშვების გამო შიში უფრო უბიძგებს, ჩემის აზრით, ამავე მიზეზით ადამიანები ერიდებიან მძაფრ გადაწყვეტილებებს.

ვ. ბ. მესმის. მაგრამ, მე ვთვლი, რომ ეს სწორი არ არის. არ შეიძლება გააჩინო ბავშვი, თუ მას ცხოვრებისათვის ადამიანური პირობები არ შეუქმენი. ეს უბასუხისმგებლობაა. აი, თუ ეს ხელისუფლება დარჩა, თქვენი შვილები იომებენ სადმე პოლონეთში ან მოლდავეთში. ჩაახშობენ აზერბაიჯანელთა ამბოხს. თქვენ ეს გინდათ?

ი. მ. ამბობენ, რომ დღეს ყველაზე მთავარია არ დავუშვათ საყოველთაო ხოცვა-ჟლეტა. ხოლო, რაც შეეხება ხელისუფლებას... წარმოიდგინეთ, რომ ბოლოსდაბოლოს კომუნისტები წავიდნენ. ვინ მოვა მათ ნაცვლად? ვინ იქნება დემოკრატიული ხელისუფლების ლიდერი?

ვ. ბ. თქვენ XIX საუკუნის კატეგორიებით აზროვნებთ. გაიგეთ, რომ ამჟამინდელი პოლიტიკა ლიდერობაზე როდია აგებული, არამედ გუნდურ მუშაობაზე. გუნდი ლიდერზე მუშაობს, ლიდერი — გუნდზე. საჭიროა დემოკრატიული სტრუქტურების სასწრაფო ორგანიზება. თქვენი დებუტატები სხედან თავიანთ რუსეთის პარლამენტში და დროს კარგავენ. ნუთუ არ ესმით, რომ მათ უკან არაფერი არ არის, არავითარი ხელისუფლება? წაართვით მათ ხვალ მიკროფონი, და ისინი აღარ არიან! შეკავშირებაა საჭირო. დაარქვით ამას თუნდაც ფონდი, თუნდაც პარტია. გაიგეთ, რომ ქვეყანა ჩამოინგრევა და აღარავინ. იმავე ჩეკისტებს ანგარიშის გასწორებისაგან ვერ დაიხსნა.

ი. მ. ოჰო!

ვ. ბ. აბა, რომელი ნორმალური ადამიანი მოისურვებს ლინჩის სასამართლოს? თქვენთან თუ სახელმწიფოა, წესრიგიც უნდა იყოს. სხვათა შორის, სანამ სუკელები გრძნობენ, რომ მათ სასჯელი ემუქრებათ, ისინი გააფთრებულ წინააღმდეგობას გაგიწევენ. მათაც უნდა მიეცეს სამართლებრივ სახელმწიფოში ცხოვრების გარანტია. თქვენ გუნდი არა გყავთ, ლიდერებს კი ეძებთ.

ი. მ. ლიდერები ჩვენ გვყავს, ჩვენ ბევრი ლიდერი გვყავს...

ვ. ბ. არასოდეს დამავიწყდება. ვსხედვართ ჩვენ, ვაშინგტონში შევხვდით ბოგომოლოვი, სელიუნინი. ტიხონოვი, ვსაუბრობთ, ვსაუბრობთ რუსეთის მომავალზე. ისინი მარჩიელობენ, წვალობენ: „მომისმინეთ, ვინ იქნება ლიდერი? სობჩაკი?“ სელიუნინიმა ოდნავ მოიწყინა: „ჩემის აზრით კი, ლიდერი ტრავკინი უნდა იყოს“... მე მაშინ ტრავკინის შესახებ არაფერი ვიცოდი. გვარი კი ძალიან სასაცილოა, არა? ჩემთვის წარმოვიდგინე: დიდი რუსეთი, უკიდვგანო, ხოლო ლიდერი — ტრავკინი... მე მათ ვეუბნები: „ბიჭებო, რას ვსხედვართ აქ? წავი-

4

დეთ ნორვეგიაში, ვიბოვით ვარიაგი და წამოვიყვანოთ. ქვეყანა ჩვენი დიდია, ბარაქიანი, ხოლო წესრიგი იქ არ არის. მივიღეთ ვარიაგებთან, ვთხოვით, იქნებ მოგვეცენ რიურკი. დაე, მართოს.

ი. შ. კი მაგრამ, თქვენის აზრით, „სოციალისტური არჩევანის“ არც გორბაჩოვს სჯერა?

ი. შ. ელცინი არა ჰგავს ვარიაგს?
ვ. ბ. ელცინი პატიოსანი კაცია. გულწრფელი. მას ნამდვილად სტკივა ქვეყანაზე გული. ეს თვისება ახლა თქვენთან იშვიათობაა. უმრავლესობა ვისოცკის გმირის მსგავსია: „პირლია თუ ივლი, იგი გტაცებს — და წიკ-წიკი“. ერთი სიტყვით, პოლიტიკურად მე მხარს ელცინს ვუჭერ. მის წლებადეულ განცხადებას. ამიტომაც ჩამოვედი ელცინის მოწვევით.

ვ. ბ. ცხადია არა. უკანასკნელი მმართველი, რომელსაც ჩვენში კომუნიზმი სწამდა, ხრუშჩოვი იყო. მას შემდეგ უკვე აღარავის, რა თქმა უნდა, გორბაჩოვი ჯერ მარქსისტულად აზროვნებს, რამეთუ მას ასე ასწავლეს, სინამდვილეში კი მხოლოდ თავისი ძალაუფლების შენარჩუნებისათვის ზრუნავს, ვინ აქნება იგი, თუ თქვენ ხვალ იმპერიას დაშლით? არარსებული ქვეყნის არასოდეს არარჩეული პრეზიდენტი, ვინ იქნება იგი და მისი ელიტა; თუ ხვალ კაპიტალიზმი დადგება? ეს მათ შესანიშნავად ესმით, თავისი ნებით არ წავლენ.

ი. შ. თქვენ რაიმე იმედს ამყარებთ რუსეთის პრეზიდენტის არჩევნებზე?

ი. შ. რაღა საჭირო იყო პერესტროიკის წამოწყება?
ვ. ბ. სხვა გზა არ იყო. ქვეყანა ინგრეოდა, ანდროპოვისეულმა სუკ-მა სწორედ ამიტომ დაამუშავა პერესტროიკის თეორია და პრაქტიკა.

ვ. ბ. ეს არაფერს მოგცემთ. სამწუხაროდ, ბორის ელცინს როცა ვნახავ, მე მას თვითონ ვეტყვი ამის შესახებ. თავდაპირველად ხელისუფლების აღება საჭირო. მე შეუბნებთან „სახალხო მანდატის“ შესახებ. და რა მერის? ელცინს „სახალხო მანდატი“ ახლაც აქვს, ვინ არ იცის ეს? ხომ არ ფიქრობს იგი, რომ სუკ-ში გადაწყვეტენ: რადგანაც მას სახალხო მანდატი ჰქონია, მაშასადამე, ისინი უნდა დანებდნენ. არა. კონფრონტაცია გარდუვალია. ერთადერთი, რაზედაც უნდა ვიფიქროთ: როგორ ავიცილინოთ სისხლი. ამიტომ, მე მზად ვარ ათასჯერ გავიმეორო; საჭიროა საყოველთაო გაფიცვა. ეს ერთადერთი შანსია, რათა ავიცილინოთ სისხლი და შიმშილი. მაგრამ, მე არ ვაპირებ თქვენს დარწმუნებას. მე კემბრიჯში ყველაფერი მაქვს — ძეხვიც, სიგარეტიც, საპონიც, დიდი სახლიც და დიდი ბაღიც.

ი. შ. საიდან, ასეთი ცნობები?

ი. შ. თქვენ გსურთ შური იძიოთ მათზე, ვინც გდევნიდათ?

ვ. ბ. აბსოლუტურად ზუსტი მონაცემებია. სამოცდაათიან წლებში დასავლეთში გამოვიდა თქვენგან გამოცემული ჩეკისტის გოლიცინის წიგნი. მასში მოთხრობილია, თუ როგორ ჩამოიქცევა ბერლინის კედელი, როგორ დართავენ გერმანიის გაერთიანების ნებას, როგორ მოეწყობა „მრგვალი მაგიდა“ პოლონეთში — ერთი სიტყვით, პერესტროიკის მთელი საგარეო-პოლიტიკურა სცენარი.

ვ. ბ. არა, ვისზე ვიძიო შური, ეს ხომ სისტემაა. ადამიანები, რომლებმაც დაკარგეს ნებისყოფა და სულა. ისე მოხდა, რომ ყველაზე უკეთ ამ ქვეყანაში სუკ-ელებს ვიცნობ იმიტომ, რომ უმეტესად მათთან მქონდა საქმე. ისინი ისეთივე ადამიანები არიან, როგორც დანარჩენები. აშკარა სადისტები, მე მათ შორის თითქმის არ შემხვედრია. უფრო ხშირად, უბრალოდ გულგრილები: მას უბრძანეს, მან შეასრულა. გესმით, ამ ხელისუფლებამ მთელი ქვეყანა შეგრიხა. ასე რომ, ყველანი თანასწორები არიან — რა ზედამხედველი, რა სუკ-ელი, რა გამრჯე მშრომელი, რომელიც ქარხანაში ეკლიან მავთულს აკეთებდა, რა დიპლომირებული მოქალაქე. რა განსხვავებაა ჩემთვის? სხვათა შორის, ამ მიზეზისა გამო, მე მზად ვარ, შევხვედ ვეგლას და ვითანამშრომლო, ვინც ამას მოისურვებს. დღეს რომ ჩემთან მოვიდეს ზედამხედველი, რომელსაც ციხეში ვყავდი დაკავებული, მე მასაც გაუშვავდი ხელს. აბა, რა ვქნა? ერთად უნდა გადარჩენა. სხვა ქვეყანა არ არის.

ი. შ. რით მთავრდება წიგნი?

ი. შ. ყველაფრის შემდეგ, რაზეც ვილაპარაკეთ, როგორღაც შეუხერხულდება ვიკითხო კომუნიზმისადმი თქვენს დამოკიდებულებაზე. მე სხვა რამ მაინტერესებს: რა არის, თქვენის აზრით, ანტიკომუნიზმი?

ვ. ბ. „ლენინური“ ნებით და სოციალიზმის აღორძინების ცდით. ისინი, რა თქმა უნდა, შეცდნენ. ყველა ტირანი — რეფორმატორი ერთსა და იმავე შეცდომას უშვებს: ზედმეტად აფასებს თავის ძალაუფლებას და არასაკმარის — ხალხის სიძულვილს. თქვენ რა, გგონიათ რომ გორბაჩოვი დამოუკიდებელ ჩეხოსლოვაკიაზე ოცნებობდა პოლიტატიმარ ვაცლავ ჰაველის მეთაურობით? არა, მას ხელისუფლების სათავეში თავისი მეგობარი მლინარჩი უნდოდა მიეყვანა. მათ გადატრიალება მოაწყვეს. ახლა კი ყველაფერი გამჟღავნდა. მე ინგლისში ვნახე დოკუმენტური ფილმი „ნახ“ რევოლუციაზე. ის სტუდენტი, რომელიც ვითომდა მოკლეს, რის შემდეგაც იფეთქა სტუდენტურმა მულეფარებამ, აღმოჩნდა ჩეხეთის უშიშროების სამსახურის თანამშრომელი, იგი ჩვენს წინაშე გამოვიდა, მოყვა, თუ როგორ უბრძანეს მას „მოამკვდარიყო“, როგორ უნდა „გაეჟონა“ ამ ცნობას პრესაში, ხოლო, როცა ბრბო ქუჩაში გამოვიდოდა, საბჭოელები იაკემს აუკრძალავდნენ ჯარის გამოყენებას... ცუდად როდი იყო ჩაფიქრებული, მაგრამ ისინი შეცდნენ: ჩამოვიდა მლინარჩი, გამოვიდა ბრბოს წინაშე, დაიწყო მოყოლა ადამიანური სახის სოციალიზმის შესახებ და მას უსტვინეს. უკანასკნელი გორბაჩოველი, რომელიც ჯერ კიდევ დგას ევროპაში ფეხზე — ეს არის რუმინელი ილიესკუ.

ვ. ბ. ეს ჯანსაღი რეაქციაა. ნორმალური ადამიანის აუცილებელი რეფლექსი, როცა მას კომუნიზმს უჩვენებენ. თუ რა არის კომუნიზმი და მისი მსგავსი „იზმები“, მე ჯერ კიდევ თბუთმეტი წლის ასაკში ვიცოდი, ორმოცდაათიანი წლების ბოლოს და, მერწმუნეთ, მე არ ვიყავი ყველაზე ჰკვიანი. ეს ყველამ იცოდა, ზოგიერთი მოხუცის გამოკლებით, რომლებსაც ამის გულწრფელად სჯეროდათ. სტალინურ ბანაკებში ვადას სჭიმავდნენ, ხოლო შემდეგ კი არცთუ იშვიათად დისიდენტურ მოძრაობაში მიდიოდნენ. მათ შორის იყვნენ ჩემი მეგობრები: პისარევი, კოსტრინინ... ასეთი იყო გენერალი გოგორენკო. მაგრამ, სიცოცხლის ბოლოს მასაც აეხილა თვალი.

ი. შ. კი მაგრამ, როგორ უშვებს ასეთ საშინელ შეცდომებს ესოდენ სერიოზული ორგანიზაცია?

ი. შ. თქვენ რა, სულ არაფრად აგდებთ გორბაჩოვის სურვილს, გულწრფელად ემსახუროს სამშობლოს, თუნდაც ზოგჯერ უუნაროდ და უცოდინარად? გამოგიტყდებით, მე იგი ტრაგიკულ პიროვნებად უფრო მიმაჩნია, ვიდრე ბოროტად.

ვ. ბ. ისინი ცუდად იცნობენ თავის ხალხს და ცუდად სწავლობენ ისტორიას. მათ გადაწყვიტეს: რაკი ლენინმა ნება შემოიღო, ჩვენც შეგვიძლიათ, მაგრამ, არ გაითვალისწინეს, რომ ჯერ ერთი, ლენინი ნებ-ს ატარებდა სახელმწიფოში, სადაც ადამიანები ჯერ კიდევ არ იყვნენ მუშაობას გადაჩვეულნი; მეორე, პარტია ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო და მშვიერი, მაშინ არ იყო ასეთი ცინიზმი და ურწმუნოება, როგორიც ახლათ.

ი. შ. თქვენ რა, სულ არაფრად აგდებთ გორბაჩოვის სურვილს, გულწრფელად ემსახუროს სამშობლოს, თუნდაც ზოგჯერ უუნაროდ და უცოდინარად? გამოგიტყდებით, მე იგი ტრაგიკულ პიროვნებად უფრო მიმაჩნია, ვიდრე ბოროტად.

3. ბ. პოლიტიკოსებზე მე მათი საქმეების მიხედვით ვმსჯელობ. იცით, ბრენევი სულაც არ იყო ბოროტი. სენტიმენტალური. უსმენდა სამხედრო სიმღერებს და ტიროდა. კეთილი მოხუცი იყო, მაგრამ, მან ჯარი შეიყვანა ავლანისტანსა და პრალაში. ნერგავდა რევოლუციას მთელ მსოფლიოში. გვალობდა ბანაკებში... მის პირად თვისებებს ამასთან არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი თავისთავად შესაძლოა იყოს კეთილი, ბოროტი, ჯანმრთელი ან მიხრწნილი, სძულდეს თავისი ხალხი ან ზრუნავდეს კიდევ ჩუმად მისი კეთილდღეობისათვის. მისი სახელით შეიძლება ხელს აწერდნენ თხზულებათა მსხვილ ტომებს ან მავნე ბრძანებულებებს. მაგრამ მოცემულ ხარისხში იგი არ არის ადამიანი, არამედ ფუნქციაა, გორბაჩოვი პერესტროიკის „მამად“ აირჩიეს იმიტომ, რომ იგი შესაფერის შემსრულებლად მოეჩვენათ. შეეძლო თავის დაჭერა. ცოტათი მსახიობობდა კიდევ.

ი. მ. თქვენის აზრით, როდის გაიგეს ზემოთ, რომ პერესტროიკა ჩაიშალა?

3. ბ. წელსა 88-სა, მაშინ გორბაჩოვმა დასავლეთში განაცხადა, რომ აქაოდა, არავინ მოელოდა, ეროვნული გრძნობების ასეთ აფეთქებასო.

ი. მ. ეს თქვენთვისაც მოულოდნელი იყო?

3. ბ. რა, რა იყო მოულოდნელი?! ჩვენ ნაციონალებთან ერთად ვიჭექით ციხეებში — უკრაინელებთან, ბალტიისპირელებთან... და როგორ შეიძლებოდა არ გვეკონოდა ნაციონალური აფეთქებების მოლოდინი, მრავალეროვან სახელმწიფოში, სადაც ყოველი ერი ძალით იყო მომწიფებულ სოციალიზმამდე მიყვანილი? თუ არ ვცდები, „ოგონიოკი“ ბეჭდავდა ანდრეი ამალრიკის „იარსებებს კია საბჭოთა კავშირი 1984 წლამდე?“ გადაიკითხეთ. მან თითქმის ყველაფერი იწინასწარმეტყველა. იგი ამტკიცებდა, რომ ნებისმიერი ზომაზე მეტი დაძაბულობა და, სისტემა დაიწყებს მსხვერვას. ასეც მოხდა.

ი. მ. ეს იგი, ეკონომიკური კრიზისი ჩვენთან...

3. ბ. სუფთა ეკონომიკური კრიზისი ამ სისტემაში, შეუძლებელია! „შეუძლებელია“, — როგორც ამბობდა მა ხუნი, ჩინელი, რომელიც ჩვენთან ერთად იჯდა ვლადიმირის ციხეში, ეს იდეოლოგიური სისტემაა, მაშასადამე, იდეოლოგიური კრიზისი, პარტიის კრიზისი.

ი. მ. რამდენადაც ვიცი, დასავლეთში ჯერ კიდევ სჭერათ გორბაჩოვის.

3. ბ. დიახ, „გორბომანია“ ჯერ კიდევ გავრცელებულია. მარქსისტები დასავლეთში ჯერაც უფრო მეტია, ვიდრე რუსეთში. წელიწადში ორ-სამჯერ მგზავრობა მიხდება ამერიკულ უნივერსიტეტებში ლექციების ჩასატარებლად. საოცარია! სტუდენტები ჩემს მხარეზე არიან, პროფესორები — ჩემს წინააღმდეგ. პროფესორები ხომ „სამოციანელები“ არიან, ისინი ყველა მემარცხენეებია, ხოლო სტუდენტი ახლა ნორმალური წამოვიდა. მარქსიზმით არ მოტყუვდებია.

ი. მ. არც მე ვტყუვდები „მარქსიზმით“. მაგრამ, გორბაჩოვს მაინც თანაუფრძნობ. აქ სუფთა ეთიკური მხარეა: ძნელია დასწყევლო კაცი, რომელმაც (თუნდაც არა თავისი ნებით), მოგვცა ამის შესაძლებლობა — დასწყევლო.

3. ბ. თქვენ პრეზიდენტის პიროვნება გაინტერესებთ? ვიმეორებ: მოცემულ სისტემაში ამას არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა, მისი ხასიათი მკირეოდენ გავლენას მაინც ახდენს ქვეყანაში მოვლენების განვითარებაზე. ჩაიდენს იგი სისასტიკეს — და უკან დაიხვეს. ვერას გზით ვერ გადაწყვიტა ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის შემოღება, როგორადაც არ ეცადნენ ბაქოში კომუნისტები, როგორადაც არ დაჭირბ-

ნეს ანტიმუსულმანური ისტერია, ტანკებიც შეიყვანეს. ხალხსაც კი მოუწოდეს მობოლიზაციისაკენ, მაგრამ... გამოვიდნენ რუსი დედაკაციები ქუჩებში და თქვეს: „ჩვენ არ გავუშვებთ ჩვენ შეილებს!“ მე მესმის მისი, გობობა-ჩოვის, ქვეყანაში. სადაც ხელისუფლებასში, თუნდაც ცოტა ხნით, სამხედროები მოვლენ. მას ადგილი აღარ ექნება, თქვენი გენერლები მას გადააყენებენ და თავისას დასვავენ.

ი. მ. ვლადიმერ კონსტანტინეს ძვე, შეგიძლიათ თქვენი თავი წარმოიდგინოთ საბჭოთა მოქალაქედ? დავუშვათ, ვინმე კიდევ გაეცვალათ კორკოლანზე...

3. ბ. მე ველარ მოვესწრებოდი, მე ხომ უკვე მეოთხეჯერ ვიჭექი და შესანიშნავად ვიცოდი, რომ ერთ წელზე მეტს ამ წყუელ თავისუფლებაში არ მამყოფებდნენ. ციხის მერე მე ბანაკი მელოდა, შემდეგ კი — გადასახლება, ახალი ვადაც რომ მაშინვე არ მოეცათ, გადასახლებიდან მკ წელს დავბრუნდებოდი, მა მგონი, ციხეშივე მოვეკვდებოდი, დაახლოებით იმ დროს, როცა ტოლია მარჩენკო.

ი. მ. თქვენ თავისუფალი ადამიანი ხართ, რომელიც თავისუფალ საზოგადოებაში ცხოვრობს, ნეიროფიზიოლოგი, სამეცნიერო წიგნებისა და სტატეიების ავტორი... თქვენ არ მოგიცავთ ხოლმე ძრწოლა ფიქრის დროს იმის გამო, რომ შესაძლოა სასწაული არ მომხდარიყო?

3. ბ. იმის თაობაზე, რომ მე „მცვლიან“, მხოლოდ თვითმფრინავში გავიგე, ცხადია. ეს ბედის საჩუქარია, ახლა... ახლა მე მგონია, რომ სხვანაირად არც კი შეიძლებოდა მომხდარიყო, ძალზე სასაცილო იყო, როცა თვითმფრინავით მივყავდით, ირგვლივ ჩეკისტები ისხდნენ, გამოუცნობნი, როგორც სფინქსები, გაყუჩებულგები, მაგრამ, როგორც კი შევიცარიას მიგუთახლოვდით, იღუმალება გაქრა, მათ უცებ იგრძნეს, რომ მე თვალწინ უცხოელი ვნდები, აი, ეს ხელობრიკლებიანი არამზადა ბუკოვსკი — იგი „ბერიოვსკიში“ იცხოვრებს, ხოლო უცხოელი — იგი ხომ რალა უფროსის მსგავსიცაა, მათ ჩემთან გამოლაპარაკება დაიწყეს! შემდეგ კი ჩამოვვრინდით... აღმოჩნდა, რომ შევიცარიელები — მიუზნდობი ხალხია, რადგან გაცვლაა — მათ აეროდრომს ტანკები შემოარტყეს, არმია გამოვიდა, ჩეკისტმა ფანჯარაში გაიხედა და დაუსტვინა: „ესეც შენი აეროპორტში გავლა!“ საბრალო, ალბათ ცოლისათვის კოლგოტკების ყიდვაზე ოცნებობდა, ყველანი ხომ ადამიანები ვართ, ის კი მაშინვე უკან, ზონაში დააბრუნეს. მე მათ შევხედე: „ახლა თქვენა ხართ საპყრობილეში, მე კი თავისუფალი ვარ“.

მინაწერი: ახლა ვლადიმერ ბუკოვსკი ისევ ინგლისშია — კემბრიჯში, თავის დიდ სახლში, რომელსაც დიდი ბალი აკრავს. აქვს ძეხვიც, სიგარეტიც, საპონიც და თავისუფალი სამყაროს თავისუფალი მოქალაქე, კვლავ პრინციპული ანტიკომუნისტია. ისეთი, როგორიც იყო აქ — ციხეში თუ გარეთ, ესე იგი, როცა „თავისუფალი“ იყო, და მიუხედავად ამისა, იგი არ არის შურისმაძიებელი, რამეთუ იცის, რომ ყველანი კომუნისტურმა სისტემამ იმსხვერპლა, ისიც, ვინც წავიდა და ისიც, ვინც დარჩა. ციხის ის ზედამხედველიც კი, რომელსაც ვლადიმერ ბუკოვსკი მზადაა ხელი ჩამოართვას და შეუნდოს: — ყველა ერთად უნდა გადაჩრეს და იცხოვროს ამ ცოდვილ მიწაზე. შეურიგებელი ანტიკომუნისტი ადამიანურ შემრიგებლობას გვიქადაგებს.

დავფიქრდეთ, განვსაჯოთ და გავუწოდოთ ერთმანეთს ხელი ჩვენი ერისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ.

შინაის სიჭეხი

- თვრამეტი თვარაცია ერთ ჯარისკაცზე.
- დახოცილი აქლემები და დახოცილი ადამიანები სისხლის გუბაში.
- „ჩვენ ალბათ უკვე მავდრები ვართ...“
- ორი მუშლილი ჯარისკაცი.
- — არ წახვიდეთ. ეს სიბინძურება და არა რომანტიკა.
- — შენ რატომ ხარ ცოცხალი. როცა ჩემი მუშლილი მოკლას.
- „მე არასოდეს არ ვიქნები ისე. თი, როგორც თვამდე ვიხავი...“

ჩემი გზა კვლავაც ადამიანიდან ადამიანისკენ მიემართება, დოკუმენტებიდან ადამიანის სახისაკენ. ჩემი კვლევის საგანი კვლავ იგივეა — ისტორია განცდათა და არა ომიხა, რას გრძნობენ და რას განიცდიან ადამიანები? რა უნდათ? რა ახარებთ? რისი უშინიათ? რა ჩარჩათ შესხიერებაში?

ოშუე, რომელიც დიდ სამამულო ომზე ორჯერ გრძელი იყო, იმდენი ვიცით, რამდენის ცოდნაც ჩვენთვის საშიში არ იქნებოდა, რაზეთუ არ დაგვენახა ჩვენი ნამდვილი სახე და შეხი არ დაგვეკმოდა.

ახლა უკვე საიდუმლო აღარაა, რომ ავღანეთში საბჭოთა ასიათასიანი ჯარი იბრძოდა. ათი წლის მანძილზე მან მილიონს მიადწია. მოკლული და დაჭრილი იყო ორმოცდაათი ათასი. შეიძლება დაიჯერო ან არ დაიჯერო ეს. ჩვენი ანგარიშის უნარი ყველას კარგად მოეხსენება. დიდ სამამულო ომში დადუპულთ დღემდე ვითვლით და ვასამარებთ.

მე არ ვახსებებ ამ წიგნში გვარებს. ზოგმა აღსარების საიდუმლოების შენახვა მოხოვა, ზოგი მე თვითონ არ მინდა პირში მივეყ იმით, ვინც წამოაძახებთ: „პირთამდე სისხლში ხართ და კიდევ ბევრს ლაპარაკობთ“. ისევ და ისევ დამნაშავეებს ვუკებთ? ჩვენ ყველა არც ისე შორს ვართ ამ ამბებიდან, ახე რომ განზე განდგომა არავის ვგმობთ.

„მხოლოდ ხმები მესმოდა. სახეებზე ხან იკარგებოდნენ, ხან ისევ ჩნდებოდნენ. მეთექვსმეტე დღეს მოველო

გონს ტაშენტში. თითქმის ორი წელი გავატარე ჰოსპიტლებში. თვრამეტი ოპერაცია გამიკეთეს. სტუდენტები ჩემზე წერდნენ საკურსოს: რა შემრჩა და რა აღარა მაქვს.

ოთხმოცდაერთში გამიწვიეს ჯარში. ორი წელია, უკვე ომი იყო. იქაური ამბები ბევრმა არ იცოდა და თითქმის არც ლაპარაკობდნენ. ჩვენს ოჯახში ასე თვლიდნენ: რაკი მთავრობამ იქ ჯარი გაგზავნა, მასასადამე, საჭირო იყო.

გაზეთებში წერდნენ, ჩვენი ჯარისკაცები იქ ხილებს აგებენ, მეგობრობის ხეივნებს აშენებენ, ჩვენი ექიმები ავღანელ ქალებს და ბავშვებს მკურნალობენო.

ჯარში არავისთვის საიდუმლო არ იყო. რომ ავღანეთისთვის გვაშალებდნენ, ჩვენ იქ რეგოლუცია უნდა მოგვეხდინა! ასე გვეუბნებოდნენ და ჩვენც ასე გვეჭრა.

... ტყვია ეტაკა ადამიანს. მისი ხმა არაფერში არ აგერევა — ის სველი ტყაპუნის ხმაა. შენ გვერდით ნაცნობი ბიჭი პირით მტვერში ემხოზა. გადმოაბრუნებ, პირში ანთებული სივარეტი ურჭვია, ეს წუთია შენივე მიცემული... პირველად ყველაფერი თითქოს სიზმარში ხდება: მირბიხარ, მიათრევ, ისვრი, მაგრამ ვერაფერს ვერ იმახსოვრებ. შიში რომ იგრძნო, თურმე უნდა დაიმახსოვრო, მიეჩვიო. ორი-სამი კვირის მერე სახელის გარდა ძველი აღარაფერი გრჩება. შენ უკვე შენ აღარა ხარ, შენ სულ სხვა კაცი ხარ, მოკლულის დანახვა უკვე აღარ გაფრთხობს. მშვიდად, გაბრაზებითაც კი ფიქრობ, რომ ახლა კლდიდან უნდა ჩამოათრიო, ამ პანაქება სიცხეში რამდენიმე კილომეტრი ზურგით ატარო, ადამიანებისთვის ომში სიკვდილს საიდუმლოება არ ახვევია. კაცის კვლა — ეს უბრალოდ ჩახმახის ჩამოკვრაა. ჩვენ უგასწავლიდნენ: ცოცხალი ის ღარჩება. ვინც პირველი ისვრის.

...თქვენ მხოლოდ ორი რამ მოგეახოვებათ — სწრაფი სიარული და ხუსტი მიზანი. ფიქრით მე ვიფიქრებ“. — გვეუბნებოდა უფროსი. ფიქრის თავი ვის ჰქონდა. ყველა ცდილობდა ცოცხალი დარჩენილიყო. ჩვენ ოგომეტი, ოცი წლის ბიჭები ვიყავით. სხვის სიკვდილს მივეჩვიე. საკუთრისა კი მეშინოდა. ჩემ თვალწინ წამში ადამიანისაგან არაფერი რჩებოდა. თითქოს ამქვეყნად არც ყოფილიყოს. სამშობლოში ცარიელი კუბო იგზავნებოდა. შიგსაპარადო ფორმა და სიმძიმისათვის უცხო მიწა ეყარა...

არადა. სიკოცხლე გინდოდა როგორც არასდროს. ფულზე ყველა და ბევრსაც ვლაპარაკობდით. სიკვდილზე უფრო მეტს. მე არაფერი არ ჩამომიძანია ყუმბარის ნამსხვრევის გარდა. არადა. მოჰქონდათ ფაიფური. ძვირფასი თვლები. სამკაულები. ხალჩები... ვინ ყიდულობდა. ვინ ცვლიდა. ბიზნესს ყველა მისდევდა. უფროსებიც და ჯარისკაცებიც. გმირებიც და ლაჩრებიც. სასადილოებში იკარგებოდა დანები, ჩანგლები, თასები, კოვზები. იკარგებოდა ავტომატების ხიშტები, მანქანის სარკეები, ნაწილები, მედლები... დუქნებში ყველაფერს ყიდულობდნენ, ნაგავსაც კი. ნაგავი მანქანებით იყიდებოდა. აი როგორი ომი იყო.

ჩვენ „ავღანელებს“ გვეძახიან. ეს დალი და ნიშანიცაა. ჩვენ სხვებს არ ვგვავართ, მაინც როგორნი ვართ? მე არ ვიცი, ვინ ვარ. გმირი თუ ბრიყვი, ან იქნებ დამნაშავე? უკვე იძახიან. ეს პოლიტიკური შეცდომა იყო. დღეს ჩუმჩუმად ლაპარაკობენ. ხვალ იყვირებენ. ჩვენ ორდენებით გვაჩილოვებდნენ, პატროსნად დამსახურებული ორდენებით უპატიოსნო ომში.

ათი წლის შემდეგ, როცა დაგვესხნება ჰეპატიტები, კონტუზიები, მალარია, ალბათ ნელ-ნელა მოგვაცილებენ... პრეზიდენტებში აღარ გამოგვჭიმავენ. ყველასთვის მძიმე ტვირთი გავხდებით... ვისთვის სწერთ მაგ წიგნს? ჩვენ, იქ ნამყოფებს, მაინც არ მოგვეწონება. განა შეიძლება იმის მოთხრობა. რაც იყო და როგორც იყო? ერთად როგორ ეყარნენ დახოცილი აქლემები და დახოცილი ადამიანები. ერთ სისხლის გუბეში. სხვებს კი ეს რაში სჭირდებათ? ჩვენ ყველასათვის უცხოები ვართ. მე მყავს მხოლოდ ცოლი, შვილი, რომელსაც ცოლი მალე გამიჩენს, რამდენიმე ამხანაგი იქიდან. სხვას უკვე აღარავის არ დავუჭევრებ...“

გრიტი ჯარისკაცი.
უშუაგარეთმარცხელი.

„ქმარი დიდხანს მუშაობდა გერ-
მანიაში, შემდეგ მონოლოგით. ძა-
ლიან მენატრებოდა ჩემი ქვეყანა.
ჰოდა, მივწერე გენერალურ შტაბში.
მთელი ცხოვრება უცხოეთში გაეა-
ტარე და მეტი აღარ შემიძლია-მე-
თქი. პირველივე ჩვენს სადგურზე
ავიღე ერთი პეშვი ჩემი მიწისა, გა-
ხარებული დაყურებდი. დამიჭე-
რებთ, მე იგი შევქამე, პირისახე
იმით დავიბანე.

იურა პირმშო იყო ჩემი. მრცხვე-
ნია ამის თქმა, მაგრამ მე იგი ყვე-
ლაზე უფრო მიყვარდა, ქმარზე, მე-
ორე ბიჭზეც უფრო მეტად. მე სულ
მასთან ვიყავი. მხოლოდ წიგნებით
ვზრდიდი, იდეალებით: პავლე კო-
ჩავინო, ოლეგ კოშევიჩი... მან
იკოლა იდეალები, მაგრამ ცხოვრე-
ბა არ იკოლა. არც მე ვიკოლი. იმ-
დენი ხანი ვიყავი მოწყვეტილი ჩემს
ქვეყანას, ასე მეგონა, ცხოვრება
მხოლოდ იდეალებისგან იყო შე-
მდგარი. ჩვენ ჩერნოვიციში ვცხოვ-
რობდით. იურა სამხედრო სასწავლე-
ბელში სწავლობდა. ერთ დამეს ორ
საათზე ზარი გაისმა. ზღურობლზე
იურა იღვა.

— დედა, მე ძალიან მიჭირს ცხოვ-
რება. რაც შენ მითხარი... არაფერი
არ არსებობს... საიდან მოიტანე ეს
ყველაფერი? ეს კი მხოლოდ დასა-
წყისია. შემდეგ როგორ ვიცხოვრო?

ის არ იყო კმაყოფილი თავისი
არჩევანით. ის კარგი ისტორიკოსი
იქნებოდა, მეცნიერი. იგი წიგნებით
ცოცხლობდა...

მან მე მომატყუა, მითხრა, მონ-
ლოგეთში მივდივარო, მაგრამ ის
ჩემი შვილი იყო, მე ვიკოლი, ავლა-
ნეთში წავიდოდა. იმავ დროსვე მო-
უწვია ჯარში წასვლა ჩემს უმცროს
ბიჭს. მაგრამ მისი ბედის არ მეშინ-
ოდა. ის სულ სხვა გაიზარდა. წა-
ვიღენენ ბიჭები და მათ ოთახში გა-
დავსახლდი... მე უკვე სხვა არაფე-
რი მაინტერესებდა მათი წიგნების.
მათი ნივთების, წერილების გარდა.
იურა მონოლოგით მეწერდა, მაგრამ
ისე ერეოდა გეოგრაფია, ეჭვი აღარ
მეპარებოდა, სადაც იყო. დღე თუ
ღამ ჩემი ცხოვრების ჩხრეკასა და
ძიებაში ვიყავი. ვერა სიტყვები ვერ
აღწერენ ჩემს ტანჯვას. მე თვითონ
გავზავნე იგი ავლანეთში. მე, მე
თვითონ გავზავნე!

... ოთახში უცხოელები შემოვიდნენ.
მათ სახეზე ვკითხოვლობ, რაღაც სა-
შინელი ამბავი რომ მოიტანეს. მე
უკან ვიხევ. უკანასკნელი იმედოლა
დამარჩა:

— გენაჟ!
— არა, იურა, — თქვა ჩუმად
ერთმა.
არა, გაგრძელება არ შემიძლია...

ორი წელია ვკვდები ქალი... არაფე-
რი მჭირს და მაინც ვკვდები... ჩემი
სხეული მკვდარია... მე არ დავიწვი
თავი მოედანზე... ჩემი ქმარი არ მი-
ვიდა და სახეში არ მიაფეროდა მათ
პარტიბილეთი... ჩემი ალბათ უკვე
მკვდრები ვართ... ოღონდ ეს არა-
ვინ იცის... და არც ჩვენ ვიცით...

ღედა.

„არა, მაინც კარგია, ასე რომ და-
მთავრდა. მარცხით დამთავრდა, თვა-
ლები აგვეჩილება...“

შეუძლებელია, მოჰყვე, რაც იყო
და როგორც იყო. ის, რაც ვნახე და
დამამახსოვრდა, ალბათ მხოლოდ
ნაწილია მთელისა. მერე კი, მერე
ის მოვა, რისი მოყოლაც შემეძლე-
ბა. ოღონდ ვისთვის? ალიოშკასა-
თვის. რომელიც ხელში ჩამაყვდა?
... ჩვიდმეტი საათი ჩამოგვყავდა
მთებიდან, მეთვრამეტე საათს კი
მოკვდა. იდეალებზე მეკითხებით?
ძნელია უცხო ქვეყანაში, სადაც არ
იცი, რისთვის იბრძვი, იდეალები
იქონიო. იქ ჩვენ ყველა ერთნაირები
ვიყავით, მაგრამ არა ერთნაირმოაზ-
რენი. ერთნაირები იმიტომ, რომ
შეგვეძლო კვლა და ვკლავდით კი-
დეც, მაგრამ სულ ადვილად შეიძ-
ლებოდა ჩვენს ადგილზე სხვებს
ამოეყოთ თავი. ჩვენ ყველა სხვადა-
სხვანაირები ვართ, მაგრამ ყველგან
ერთნაირები — იქაც და აქაც.

მახსოვს, მეექვსე კლასში ლიტე-
რატურის მასწავლებელმა დაფას-
თან გამიძახა.

— შენი საყვარელი გმირი?
— გეკ ფინი, როცა ფიქრობდა,
გაქცეული ზანგი ჭიმი გაეცა თუ მი-
სი გულისთვის ჯოჯოხეთის საკირე-
ში დამწვარიყო, და მაინც არ გასცა.
— მაგრამ ჭიმი თეთრი რომ ყო-
ფილიყო, შენ კი წითელი? — მკითხ-
ვა მაკვეთილის შემდეგ ალიოშკამ,
ჩემმა დოსტომა.

ასე ვართ მთელი სიცოცხლე —
თეთრები თუ წითლები, ვინც ჩვენ-
თან არაა, ის ჩვენი მტერია.

ბაგრამთან ერთ ყიშლაკში შევე-
დით, გვაჭამეთო, ვთხოვეთ. მათი
ადათით შენს სახლში შემოსულს და
თანაც მშვიერს, არ შეიძლება ცხელი
ლავაში არ მიაწოდო. ქალებმა და-
გვსხეს და გვაჭამეს. ჩვენ რომ წავე-
დით, ეს ქალები შვილებიანად ყიშ-
ლაკმა ქვებით და კეტებით ჩაქოლა.
იკოლენენ, რომ მოკლავდნენ, მაგრამ
მაინც არ გამოგვყარეს, ჩვენ კი ჩვე-
ნი კანონებით მივიღვიართ მათთან.

რატომ მაიძულებთ ეს ყველაფე-
რი გავიხსენო? ეს ხომ საოცრად ინ-
ტიმურია, პირადული: ჩემი სისხლი
სილაზე, აქლემის მაღალი კისერი,
ზემოთ მოქანავე; ვიდრემდე გონს

დავკარგავდი. და მაინც მე იქ ვიყა-
ვი, როგორც სხვები... ჩემს ცხოვ-
რებაში მხოლოდ ერთხელ ვთქვი
უარი სხვებივით მოვქცეულიყავი...
საბავშვო ბაღში ყველას ხელჩაკი-
დებული უნდა გვევლო; მე კი მარ-
ტო სიარული მიყვარდა. ახალგაზრ-
და მასწავლებლებმა იცოდნენ ეს
და არ მაძალებდნენ, მაგრამ მალე
ერთ-ერთი გათხოვდა და მის ადგილ-
ზე კლავა დეიდა მოვიდა.

— სერიოჟას ჩაჰკიდე ხელი, —
მითხრა მან.

— არა.
— რატომ?
— მე მარტო სიარული მიყვარს.
— შენ ისე უნდა მოიქცე, რო-
გორც წესიერი ბავშვები იქცევიან.
— არა.

კლავა დეიდამ გამატიტვლა და
სამი საათი ბნელ ოთახში ჩამკეტა.
მეორე დღეს სერიოჟასთან ხელჩა-
კიდებული ვსერირობდი. ისე ვიქცე-
ოდი, როგორც სხვები. ყველგან ჩემ
მაგივრად წყვეტდნენ ყველაფერს,
მე ჩამინერგეს, რომ ერთ კაცს არა-
ფერი არ შეუძლია, სადღაც წაგი-
კითხე „ვაჟაკობის ჩაკვლაო“. იქ
რომ გამგზავნეს, ჩასაკვლელი ჩემში
აღარაფერი იყო. „მოხალისენო,
ორი ნაბიჯით წინ“. ყველა ორი ნა-
ბიჯით გადიოდა წინ და მეც გავდი-
ოდი.

შინდატში ორი ჩვენი შეშლილი
ჯარისკაცი ვნახე, სულ „სულებს“
ესაუბრებოდნენ, უხსნიდნენ, რა
არის სოციალიზმი, მეათე კლასის
სახელმძღვანელოს მიხედვით... „არა-
და, ცარიელ კერპში ქურუმნი
ისხდნენ და ისინი წინასწარმეტყვე-
ლებდნენ“. ერთხელ კი სკოლაში,
მაშინ თერთმეტი წლისა ვიყავი,
„დეიდა სნაიპერი“ გვეწვია, რომელ-
საც თურმე სამოცდათვრამეტი „ძია
ფრიცი“ მოეკლა. შინ რომ მოვედი,
ველარ ვლაპარაკობდი, ღამით კი
სიცხემ ამიწია.

რად მაიძულებთ, გავიხსენო ეს
ყველაფერი? ჩემს ომამდელ ჭინსებ-
სა და პერანგებს ვერ გავეკარე, ვერ
ჩავიცვი, ისინი ჩემთვის უცხო კაცის
სამოსი იყო. ის კაცი უკვე აღარ არ-
სებობს, მე მხოლოდ მის გვარს ვა-
ტარებ. ოღონდ გვარი არ დაწეროთ.
მე ის პირველი უფრო მომწონდა.
„პადრე, — ჰკითხა კრაზანამ მონტა-
ნელის, — თქვენი ღმერთი კმაყო-
ფილია?“ მე კი ვის მივახალო პირ-
ში ეს სიტყვები ყუმბარასავით...“

**რიბითი ჯარისკაცი,
არტილერიისტი.**

„მე ისე მწამდა, ახლაც ვერ ვარ
სულ მთლად მისგან თავისუფალი.
თავად ვითხოვე კომისარიატში, ავ-

ლანეთში გამგზავნეთ-მეთქი. ზამპო-
ლიტი გვიკითხავდა ლექციას საერ-
თა-შორისო მდგომარეობაზე. მან
გვითხრა, „ამერიკულ მწვანე ბერე-
ტებს“ სულ ერთი საათით დავასწა-
რით, ისინი უკვე პაერში იყვნენ.
რა სულელი ვიყავი, იმდენს გვიჩი-
ჩინებდნენ, ეს ინტერნაციონალურ
მოვალეობააო, ბოლოს კიდევ ჩა-
გვიჭედეს თავში, მე ოთხმოცდაექვს-
ში წავიდე, მაგრამ მაშინაც კი ყვე-
ლა დუმდა, ოთხმოცდაშვიდში უკვე
ხოსტში ვიყავი, ჩვენ ერთი მთა და-
ვიკავეთ... შვიდი ბიჭი მოგვიკლეს...
ჩამოვიდნენ მოსკოველი ყურნალის-
ტები... მიჰგვარეს „მწვანეები“ (ავ-
ლანელთა სახალხო ჯარი), ამათ აი-
ლესო... ავლანელებს სურათები გა-
დაუღეს, ჩვენი ბიჭები კი მორგში
ჩაყარეს.

ავლანეთში გასაგზავნად საუკეთეს-
სონი ირჩეოდნენ, ავლანეთში წასვ-
ლას იხვეწებოდნენ. მაიორმა კი მე
და ჩემს მეგობარ საშა კრივცოვს
გვირჩია, თქვენი რაპორტები უკან
წაიღეთო.

— სჯობს სინიცინი დაიღუპოს.
ვიდრე თქვენ, სახელმწიფომ თქვენ-
ზე იმდენი დახარჯა.

სინიცინი უბრალო გლეხის ბიჭი
იყო, ტრაქტორისტი, მე კი უკვე
დიპლომი მქონდა, საშა გერმანულ-
რომანულ ფილოლოგიის ფაკულ-
ტეტზე სწავლობდა კემეროვოში.
არაჩვეულებრივად მღეროდა, უკ-
რავდა ფორტეპიანოზე, ვიოლინოზე,
ფლეიტაზე, კარგად ხატავდა, ჩვენ
ძმებივით ვიყავით. პოლიტსაათებზე
გვარწმუნებდნენ, ავლანეთი იგივე
ესპანეთიაო, უცბად კი: „სჯობს სი-
ნიცინი დაიღუპოს, ვიდრე თქვენ“.

ომის ნახვა ფსიქოლოგიური თვალ-
საზრისითაც საინტერესო იყო, პირ-
ველ ყოვლისა საკუთარი თავის შე-
საცნობად. ვეკითხებოდი იქ ნა-
მყოფ ნაცნობ ბიჭებს. ერთი, რო-
გორც ახლა ვხვდები, გვალორებდა:
მედესანტე პარაშუტის გახსნამდე
სამი წამი — ანგელოზია, ვინემ მი-
ფრინავს სამი წამი — არწივი, და-
ნარჩენი დრო კი — დროვის ცხე-
ნით. ჩვენ ყველაფერი მართალი
გვეგონა, ნეტა ახლა შემახვედრა ის
პომეროსი! მეორე ბიჭი კი, პირიქით,
გვეუბნებოდა:

— არ წახვიდეთ, ეს სიბინძურეა
და არა რომანტიკა.

ჯარამდე ჩემი მასწავლებლები
იყვნენ დოსტოევსკი და ტოლსტოი.
ჯარში — სერჟანტები. მათი ძალა-
უფლება უსაზღვროა.

— აბა მითხარი, მედესანტე რო-
გორი უნდა იყოს? გაიმეორე!

— მედესანტე უნდა იყოს უტ-

ვარი. ჰქონდეს რკინის კუჭი და არ
გააჩნდეს გრამი სინდისი.

— სინდისი მედესანტესათვის
ზედმეტი ბარგია, გაიმეორე!

ჯარისკაცის წერილიდან:

„დედა, ლეკვი მიყიდე და რომ ჩა-
მოვალ, უნდა მოვკლა“.

„თვითონ რეჟიმი გიბინდავს გო-
ნებას, ყველაფერს გაკეთებინებს.

... თორმეტი დღე მივიღოდი...
მთებზე საშინელი მხოლოდ მთებია...
ბანდას გავუბრუნოდი... დოპინგისა
გვაძლებინებდა...“

მეხუთე დღეს ჯარისკაცმა მოიკლა
თავი, სხეები წინ გაატარა და ავტო-
მატი კისერში იხალა. ჩვენ ვათრიეთ
მისი გვამი, მისი რუკზაკი, იარაღი.
სულაც არ გვეცოდებოდა. კარგად
იცოდა, რომ ჩვენები გვამს არ ტო-
ვებენ, თან მიაქვთ ხოლმე. ყველაზე
საშინელი აფეთქებების შედეგად
მიღებული ტრილობებია... მუხლა-
მდე წაგლეჯილი ფეხი... გაშიშვლე-
ბული ძვალი... მეორე ფეხზე მო-
გლეჯილი ქუსლი... წაჭრილი ასო...
არ გვეოფნდა მედიკამენტები. „ზე-
ლიონკაც“ კი არ იყო.

მთელი ცხრა წელი ჩვენს წარმო-
ებას ახალი არაფერი შეუქმნია. საბ-
ჭოთა ჯარისკაცი ყველაზე იაფი ჯა-
რისკაცია, ყველაზე მომთმენი. ასე
იყო ორმოცდაერთში... ასეა ორმოც-
დაათი წლის შემდეგაც... რატომ?
ჩვენ ჯავშან-ჟილეტს ვერ აწევ, ამე-
რიკულს ერთი რკინის ნაწილი არა
აქვს. რალაც ტყვიანობის ტოპო-
ლისაა. ამერიკული საძილე ტომრე-
ბი ორმოცდაცხრა წლის ნიმუშისაა.
გელის ბუმბულისა, მჩატე. ჩვენი
ბამბურა შეიდ კილომდე იწონის.
მკვდარ დაჭირებულ სამხედროებს
ვაცლიდით ქურთუკებს, გრძელსაჩა-
ხიან კეპებს, ჩინურ შარვლებს.
ტრუსებსაც კი, რადგან ესეც დეფი-
ციტი იყო. ვხოცავდით გარეულ ერ-
კემლებს, გარეულად კი ფარას ხუთ
მეტრზე ჩამორჩენილი ითვლებოდა
ან ვცვლიდით. ერთი ერკემალი ორი
კილო ჩაი ღირდა. ფული ბრძოლის
ველიდან მოჰქონდათ, ჩვენ კი უფრო
მაღალი ჩინი გვართმევდა.

ნაწილს გამდიდრება უნდოდა. ნა-
წილს თავის გადარჩენა, სხვებს ჯილ-
დობები, მეც ჯილდო მიწოდდა.

მაბრახებს ჩემი მიაშიტობა. ზამ-
პოლიტები გვარწმუნებდნენ იმაში,
ოისაც თავად არ სჯეროდათ, რაშიც
დიდი ხანია გარკვეულიყვნენ. ლო-
ზუნგი. „ავლანეთმა ჩვენ ძმები გა-
გებხადა“, ტყუილი ლოზუნგია!

ზამპოლიტმა დაგვარიგა შინ დაბ-
რუნების წინ, რა შეიძლება თქვაო
და რა არა: დაღუპულებზე ლაპარაკ-

კი არ შეიძლება, ვინაიდან ჩვენ დი-
დი და ძლიერი არმია ვართ. არაწეს-
დებურ დამოკიდებულებაზე კრინტი
არ უნდა დავძრათ. ვინაიდან ჩვენ
დიდი, ძლიერი და მორალურად ჯან-
სალი არმია ვართ. ფოტოები უნდა
დაიხეს. ფირები მოისპოს, ჩვენ არ
გვისერია, ბომბები არ დაგვიყრია,
არ მოგვიწამლავს, არ ავგიფეთქე-
ბია. ჩვენ დიდი, ძლიერი, მორალუ-
რად ჯანსალი არმია ვართ.

საბაჟო წამოღებულ საჩუქრებს
გვართმევდა.

— არ შეიძლება, ბიჭებო!

არავითარი ნუსხა არ დგებოდა.
ეს მათი ბიზნესი იყო. მაგრამ, ჰოი,
რა სუნი იდგა გაზაფხულის მწვანე
ფოთლების, გოგოებს თხელი კაბები
ეცვათ. მომავონდა წამით სვეტკა
აფოშკა (გვარი არ მახსოვს). ქაბულ-
ში ჩამოსვლის პირველ დღეს ერთ
ჯარისკაცს მიუწვა ას აფოშკად, ვი-
ნემ არ გაერკვა საქმეში. ორიოდ
კვირის შემდეგ კი სამი ათასს
იღებდა.

მატარებელში მესიზმრა: საბრძო-
ლოდ ვემზადებით, საშა კრივცოვი
მეკითხება:

— რატომ გვაქვს სამას ორმოც-
დაათი ვაზნა და არა ოთხასი?

— იმიტომ, რომ მედიკამენტება
მომაქვს.

იყუჩა და მერე მითხრა:

— შენ შეგეძლო იმ ავლანელი
ქალის მოკვლა?

— რომლის?

— აი ჩასაფრებულს რომ მიგვა-
ყენა. გახსოვს, ოთხი რომ დაგველუ-
პა?

— არ ვიცი, ალბათ არა. საბავშვო
ბაღში თუ სკოლაში „გოგოების
კულს“ მეძახდნენ, შენ კი შეძლებდი?

— მე მრცხვენია...

მაგრამ რისი რცხვენია, ამის თქმა
ვერ მოასწრო, გამეღვიძა. შინ ტე-
ლეგრაფა დამხვდა საშას დედის:
„ჩამოდი, საშა დაიღუპა“.

— საშა, — მივედი მის საფლავ-
ზე, — მე მრცხვენია, რომ გამოსაშ-
ვებ გამოცდაზე მეცნიერულ კომუ-
ნიზმში ხუთიანი მივიღე ბურჟუაზი-
ულ პლურალიზმის კრიტიკისათვის...
მე მრცხვენია, რომ მას შემდეგ, რაც
სახალხო დემუტატთა ყრილობამ
გამოაცხადა, ეს ომი ჩვენი თავის-
მოპყრათა, „მებრძოლ-ინტერნაციო-
ნალისტების“ ნიშნები და სსრკ-ის
უმაღლესი საბჭოს სიგელები დაგვი-
რიგეს. საშა, შენ მანდ ხარ, მე აქ...“

**რიგითი ჯარისკაცი,
მსროლელი.**

„ის პატარა ტანისა მყავდა, გოგო-
სავით პატარა დაიბადა, წონით ორი
კილოგრამი. გულში ჩავიხუტებდი.

— ჩემო თვალის სინათლევ.
მხოლოდ ობობასი ეშინოდა. მო-
დის ერთხელ ქუჩიდან... მაშინ ახა-
ლი პალტო ვუყიდეთ... ოთხი წელი
შეუსრულდა... დავიკავე მისი პალ-
ტო და უცებ სამზარეულოში მეს-
მის: ტყაბ-ტყაბ-ტყაბ... გამოვვარდო.
დერეფანი ბაყაყებითაა სავსე, მისი
პალტოს ჯიბებიდან მოხტიან... ის
კი ავროვეს.

— დედიკო. ნუ გეშინია. იცი, რა
კეთილები არიან?

— ჩემო თვალის სინათლევ.
პირველ კლასში რომ მიდიოდა.
ვერა და ვერ ვუყიდე ფორმა. ყვე-
ლაში ძვრებოდა.

ჯარში წაიყვანეს. ღმერთს ვეხვე-
წებოდი იმას კი არა. არ მომიკლან.
არამედ არ სცემონ-თქო, რა ვიცოდა
მე სულელმა. სად მივეცი შვილი.
მეშინოდა. არ დაჯაბნონ ღონიერმა
ბიჭებმა. ის ხომ ისეთი პატარა მყავ-
და. ამბობდნენ. ტულეტს კბილის
ჯაგრისით ახეხინებენო. სხვების
ტრუფლებს არეცხინებენო. შემოგვი-
თვალა, სურათები გამომიგზავნეთ
ყველამ, დედამ, მამამ, დაიკოშო. მე
მაგზავნიანო... ოღონდ სად, არ
გვწერდა. ორი თვის შემდეგ ავღა-
ნეთიდან მივიღეთ წერილი: „დედა.
არ იტირო, ჩვენ რკინის ჭავჭავნი
გვაქვს“.

ორი თვის შემდეგ უკვე უნდა ჩა-
მოსულიყო. პერანგი ვუყიდე. ყელ-
სახვევი, ტუფლები, ახლაც კარადა-
ში მიწყვია. კუბოში ჩავაცმევდი.
ჩემი ხელით გამოვაწყობდი, მაგრამ
არ ამახდევინეს თავი... შევხედავდი
ჩემს ბიჭიკოს, ხელს გადავუსვამდი...
მოუძებნეს კი მისი ზომა ფორმა?
რა აცვია შიგ?

პირველი კაპიტანი მოვიდა სა-
მხედრო კომისარიატიდან.

- გამაგრდით, დედი...
- სადაა ჩემი ბიჭი?
- აქ, მინსკში. ახლავე მოიყვანენ.
მუხლთ მომეკვება.

— ჩემი თვალის სინათლევ! — წა-
მოვხტი და კაპიტანს მუშტებით
ვეცი:

— შენ რატომ ხარ ცოცხალი, რო-
ცა ჩემი შვილი მოკლეს? შენ, ასეთი
ზორბა, ასეთი ღონიერი... ის კი პა-
ტარა იყო. შენ კაცი ხარ, ის პატარა
ბიჭი. რად დარჩი ცოცხალი?!

კუბო შემოიტანეს. ფიცარზე ვა-
კაქუნებდი:

— ჩემო თვალის სინათლევ... ჩე-
მო თვალის სინათლევ...

დავდივარ ახლა საფლავზე, დავე-
მნობი ქვაზე:

— ჩემო თვალის სინათლევ!...

„ჩიბებში ჩემი მიწის ნატეხი ჩავი-
დე — მატარებელში გამიჩნდა ასე-
თი გრძობა... გეოგრაფიაში ხუთი
მქონდა. თვალებს დავხუჭავ და
მთებს, მაიმუნებს ვხედავ, ჩვენ მზე-
ზე ვშავდებით. ბანანებს მივირთ-
მევთ... არადა. დაგვსხეს ტანკებზე.
შინელებში გამოწყობილნი, მარცხ-
ნივ, მარჯვნივ ტყვიამფრქვევებია.
უკან მანქანაზეც ტყვიამფრქვევია.
პირდაპირ რკინის ზღარბს ვგავდით.
ჩვენი ბეტეერი შემოგვხვდა. ბიჭებს
მეზღვაურის ზოლ-ზოლა პერანგები
ეცვათ. პანამები ეხურათ, გვიყუ-
რებდნენ, სიცილით კვდებოდნენ.

ჩვენ აქ სოციალიზმის ასაშენებ-
ლად ჩამოვედით. არადა, ეკლიან
მავთულებში ჩავსვყვით: „იქით, ბი-
ჭებო, არ შეიძლება. სოციალიზმის
აგიტაციას ნუ დაიწყებთ, საამისოდ
სხვა ხალხია გამოყოფილი“. მეღუქ-
ნეს ვეუბნებთ:

— შენ არასწორად იცხოვრე. ახ-
ლა ჩვენ გასწავლით, სოციალიზმს
აგიშენებთ.

მედუქნეს გაეღიმა.

— მე რევოლუციამდე ვვაჭრობ-
დი და ახლაც ვვაჭრობ. წადი შენს
სახლში. ეს ჩვენი მთებია, თვითონ
მოვრიგდებით...

ქაბულში მივდივართ. ქალები
ჩვენს ტანკებს ჯოხებსა და ქვებს
ესვრიან. ბოჩატები უაქცენტოდ დე-
დას გვაგინებენ, გვიყვირიან: „რუ-
სო, შინ წადი“.

ნეტა რა გვინდა აქ?

...გრანატმტყორცნიდან ისროდ-
ნენ. მოვასწარი და ტყვიამფრქვევი
მოვატრიალე, ამან გადამარჩინა.
ჭურვი პირდაპირ მკერდში მომხვდე-
ბოდა. ისე კი ხელში მეტაკა, მან-
სოვს, ძალზე სასიამოვნო გრძობა
იყო... ტყვილი სულ არ მიგრძენია.
უკნიდან კი მიყვირიან: „ისროლე!
ისროლე!“ ვაჭერ ხელს, ტყვია-
მფრქვევი ღუმს. მერე ვნახე, ხელი
ჩამოშვებია, სულ დამწვია, მხო-
ლოდ მტევანი დამრჩა.

გრძობა არ დამიკარგავს. სხვებ-
თან ერთად მეც გამოვძვერი მანქა-
ნიდან. ორი ნაბიჯი გადავდგი და წა-
ვიქექცი. ლიტრანახავარი სისხლი და-
მიკარგავს. მესმის:

- ალყას გვარტყამენ...
- ვილაკამ თქვა:
- უნდა დავტოვოთ, თორემ ყვე-
ლანი დავიღუპებით.
- მომკალით, ბიჭებო, — შევე-
ხვეწე:

ერთი ბიჭი განზე გადავა, მეორემ
ავტომატი მოიმარჯვა, მაგრამ მყის-
ვე განზე ისროლა.

— არ შემიძლია! აჰა, შენ თვი-
თონ...

მოვიწიე ავტომატი, მაგრამ ცალი

ხელით რას ვახერხებ. ბედმა
არ გამწორა. იქ პატარა ხევი იყო.
ქვების უკან დავიმალე. დილით ჩვე-
ნებმა მიპოვეს. ის ორნი იყვნენ.
რომ მიმატოვეს. მივხვდი, შეეშინ-
დათ. სიმატლევ არ მეთქვა. ჰოსპი-
ტალში მაშინვე მაგიდაზე გამჭიმეს.
გამეღვიძა. ცალი ხელი აღარ მქონ-
და... ბაბუასთან დავბრუნდი, სხვა
არავინ მყავდა.

ნაცნობები მეკითხებოდნენ:
— დუბლონკა თუ ჩამოიტანე?
იაპონური მაგნიტოფონი? განა ავ-
ლანეთში არ იყავი?

ნეტა კი ავტომატი ჩამომეტანა!

ისევ უნდა ჩემი ბიჭები მოვძებნო.
ჩვენ ერთი ენა გვაქვს, გვესმის ერთ-
მანეთის. რექტორმა გამომიძახა.
„ჩვენ სამიანებით მიგიღეთ, სტუდენ-
თა დაგინიშნეთ, ნუ ივლი იმათთან.“
რატომ იყრით თავს სასაფლაოზე?
ეს უწესობაა“. ჩვენ გვიშლიდნენ
ერთად თავშეყრას, ჩვენი ეშინოდათ.
ჩვენ ვაძულეთ, დახმარებოდნენ იმ
ბიჭების დედებს, ვინც საფლავებში
წვანან. ჩვენ მოვითხოვთ. ძველი
დაუდგან მათ, მაგრამ ვის რაში
ჭირდება ეს? ჩვენ გვეუბნებოდნენ,
მაინცდამაინც ბევრს ნუ ილაპარა-
კებთ იმაზე, რაც იყო, ეს სახელმწი-
ფო საიდუმლოაო! ასი ათასი ჯარის-
კაცი უცხო ქვეყანაში — საიდუმ-
ლოა, რა სიცხე იცის ქაბულში —
ესეც საიდუმლოა.

ომი უკეთესს არ ხდის ადამიანს.
აუარესებს, მე არასოდეს არ ვიქნე-
ბი ისეთი. როგორც ომამდე ვიყავი.
ან როგორ ვიქნები უკეთესი იმის
დამნახველი, თუ როგორ ყიდულობ-
დნენ მედიკოსებისაგან სიყვითლით
დაავადებულთა შარდს. როგორ
სვამდნენ და ავად ხდებოდნენ. ტყვი-
ით როგორ იჭრიდნენ თითებს, ერ-
თი თვითმფრინავით როგორ მო-
ჭქონდათ ცინკის კუბოები და ტყავის
პალტოებით, ჭინსებით, ქალის ტრუ-
სებით, ჩინური ჩაით დატენილი ჩე-
მოდნებში...

ადრე „სამშობლოს“ თქმაზე ტუ-
ჩები მიკანკალებდა. ახლა კი აღარა-
ფრისა აღარ მწამს. იბრძოლო? მაგ-
რამ რისთვის? ახლა გაზეთები და-
წერენ, ყველაფერი სწორი იყო.
თუმცა იმასაც სწერენ, ჩვენ მკვლე-
ლები ვართო. ვის დაფუჭებო? დღეს
ერთს ვწერთ, ხვალ მეორეს. ვინაა
მართალი? არ ვიცი. ერთი-ორი ამ-
ხანაგისა მჭერა, სხვისი არავისი...
ასე მგონია, ახლა შემიძლია სამშობ-
ლოც გამოვიცვალო... წავიდე აქე-
დან...

რიზითი ჯარიჩაყი,
მაკაპოვირა.

თარგმან რუსულად კავალაქამ.

დედა.

ქარბინა პასარელი

ქარბინა პასარელი ქალაქის ერთ-ერთი თვალსაჩინო კოთბი და თანამედროვე იტალიური ლიტერატურის მკვლევარია. კრიტიკოსები აღიარებენ, რომ თავისი „შიშვალნი რითმებით“, მემორიალური და ფრვლი, წადა ლექსებით საოცრად ჰკავს ჰერმეტიკოს კოთბას.

ქარბინა პასარელი ოცი დღე წაშრომა საქართველოს მემკვიდრეობის ერთად. თბილისში აქიზებამ მალხაზ ჩიქოვანი და ტატიანა შატბერაძე მის მემკვიდრე, ქალბატონ მარინაჯალას თვალსაჩინო დაუბრუნეს. ამით გამოწვეულმა შთაბეჭდილებამ და ქართული ხალხით აღტაცებამ შეაქმნევინა კოთბს ეს სამი ლექსი.

მთარგმნელი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ესერავ თბილისის ხალხმრავალ ქუჩებს,
ვისრუტავ სურნელს ჟამგადასულ შენი ტაძრების,
მიხმობს ზამთარით გაბეზრებული კეკლუცი ბაღი
და გრძნობით მთვრალი შადრევანთან წყალს ვეწაფები.

კრძალვით შევეყურებ კდემამოსილ შაოსან ქალებს,
მოდინ. თითქოს მხრებით მოაქვთ მქრქალი სინაზე,
ჩაღვრიათ სევდა შემოდგომის უძირო თვლებს.
თუმცა ფარავენ მოგიზგიზე კოცონის ალებს.

გავირინდები თბილისური საღამოს ბინდში
და სათითაოდ ჩამოვუვლი მთვლემარე სახლებს,
მობეზრებით ხეებს ოხვრა მზის სინათლეში
და მშვიდად სძინავთ ვარსკვლავებით მოჭედილ ცის ქვეშ.


ესვამ სადღეგრძელოს უსამართლოდ ტყვედქმნილ
არწივის,
თუმცა მათრობენ ღვთაებრივი ძველი ჰანგები,
მერევა ღვინო. მენატრება შენი წარსული
და შენთან ერთად შენს მძიმე ხვედრს აუფაჩანდები.

ო, საქართველოვ, შორეულო ჩემო დაია,
რით დაგიამო დაუმცხრალი ეგ ტკივილები,
როს ურალიდან მონაბერი სუსხი მწვავა
და აღარ ღღვება ჩრდილოეთის მკაცრი ყინული.

მაგრამ მე მჯერა, ბორკილები მაინც დაწყდება
და გადმოხეტქავს ყველა ნაპირს მძლავრი ტალღები,
შურისძიების ჟამი დაჰკრავს და განათდება
ქართული ზეცა ჩაუმქრალი წმინდა სანთლებით.

თ ბ ი ლ ი ს ი

თენდება მშვიდად ღრუბლიანი თბილისის დილა,
და მთის კალთებზე მიმოფანტულ კოპწია სახლებს
შემოუბუთრავთ მჭვირვალი სევდა.
გავყვები შენი ბებერი მტკვრის მდორე დინებას,
დავაყურადებ ჩემი სისხლის უხსოვარ დუმის
და გკითხავ: როდის ან ვინღა მოსწმენდს
მტკივან გულიდან ცრემლებს უფლისას?!



ვენეცია. მხატვარი დინარა ნოდია

მოგვები თბილისში

ქრისტეს ნათელ კვალს ადევნებული სამი მოგვივით
ჩვენ სასოებით შემოვალეთ თბილისის კარი.
ფორთხლისფერი ლამპიონების ლიცილიცა ბინდში
შემოგვეგება მომხიბლავი ქართველი ქალი.

მტკვარი არწევდა თბილ აკვანში მძინარე ქალაქს
და ისტორიის ფოლიანტებს ვფურცლავდი მგზავრი:
გამოდგომოდა დაჭრილ ხოხობს მეფის ამალა,
შორით მოჩანდა — მილიმოდა მე გორგასალი...

ძვირფასო ნუნუ, ტბილო ბავშვო და დიდო ქალო,
რამ დამავიწყოს მასპინძლობა თქვენი პურადი,
საიდან მოგდგამთ საკვირველი ღვთიური ნიჭი,
თურმე მაღლად რომ მიგაჩნიათ სახლში სტუმარი.

იტალიურიდან თარგმნა
ნუნუ ბელაქია



ნიკორწმინდა

მიწის რყევამ გვირილებით გადა-
ყვითლებულ მინდორში თეთრად
აბრიალებული ნიკორწმინდაც შეა-
ქანა. პირველივე ბიძგმა გუგუნით
გაიარა ბალავარში და ზემოთ, კედ-
ლებში, აქა-იქ ბზარები გააჩინა.

უეცრად შეტორტმანდა მოშიშვე-
ლებულ კლდეზე დაშენებული ტა-
ძარი. თორმეტივე სარკმელი ერთბა-
შად მოლიადა და დაიბზარა, თვა-
ლის დახამხამებაში ჩამოიფშვნა ჩარ-
ჩობებზე სასოებით ამოჭრილი ჩუ-
ქურთმები, ქვის კანკალები და ხის
კარები, ძვირფასი ლითონისაგან ნა-
ჭედი ხატები, ჯვრები.

ყრუ და მჭახე იყო ხმა, რომელიც
ოხვრითა და ხენეშით ამოდიოდა მი-
წიდან. ოხრავდა და ხენეშოდა მიწის
გული, ცხელი და მძვინვარე, და იდ-
გა ნიკორწმინდა, მეთერთმეტე საუ-
კუნის ქართული ხუროთმოძღვრული
ბელოვნების ეს ნამდვილი შედეგრი,
თეთრი და სპეტაკი, ამ გაუგონარ
ნგრევასა და მსხვრევაში.

აქლოშინებული მტრის ჯარი ვერ
იხმაურებდა ასე. ვერც უცხო ალა-
ჩოყებს, ხარგებს, ახრიგინებულ სა-
ბარგულ-საზიდარებს მოლანდავდა
კაცის თვალი, ჩარდახებში შეხიზნუ-
ლი ქალითა და ბავშვით. არც გაოფ-
ლილი თურქული ცხენები შემოთქა-
რუნებულან ტაძრის ეზოში. არც
ღამისფერი ჩალმით თავწყარული
თურქ-სელჩუკიანთა ურდო ჩანდა.

ჯოგს არ შემოუბღავლებია შეძიგ-
ძიგებულ კარიბჭესთან. ცხვარი არ
პეტელობდა, ჯორ-აქლემი არ მოა-
ყლაღუნებდა სპილენძის ვეება ზან-
ზალაკებს.

არა, არაფრით ჰგავდა ეს ხმაური
საომარ ყიჟინას, თუნდაც შემზარა-
ვი კივილით წამოსულ ურდოს შე-
მოვარდნას აჰმად ამირას სარდლო-
ბით.

მიწისძვრა იყო ეს — ქვეყნის
ნგრევა, იმნაირი მეორედ შოსვლა,
ცხრა საუკუნის წინათ ერთხელ უკვე
თავს რომ დაატყდა საქართველოს.
შეირყა და ჩამოიქცა მაშინაც მთა და
ღრე, დაინგრა და დაიმარხა ათობით
სოფელი, მტვრად იქცა უამრავი ტა-
ძარი, ციხე, სრა-სასახლე.

მთელი წელიწადი იძაგბაგა ქარ-
თულმა მიწამ. მთელი წელიწადი
ქეძვითა და ნარ-ეკლით გადაბარდულ
ნასახლარებში შეიფარა თავი ქართ-
ველმა კაცმა. ისევ ვენახი გაახარა
ნავენახარზე, ურეოლაგადავილილ მი-
წის უბეში ისევ მოიძია სიცოცხლის
ნიშანწყალი.

ნგრევამ და გრუხუნმა ვერ გადა-
უტეხა ხერხემალი სწორედ იმ შარი-
ან წლებში აგებულ ბაგრატის ტა-
ძარს ლიხს იქით, იმერეთში, სვეტი-
ცხოველს — შუაგულ ქართლში,
ალავერდს — კახეთში, ამ ყველაზე
დიდ კათედრალებს საქართველოში.
ვერ იავარჰყო სამთავრო, სამთავისი,
მანგლისის ტაძარი, სავანე, ზოგი
ლოცვა-ვედრებასავით. რომ ასულა
ზეცაში, ზოგი კი ისეა გარინდებული
მიწაზე, თითქოს ლოცულობსო.

აგერ ნიკორწმინდა, ჩვენი დიადი
და მაღალი, ღვთიური ხელით ნა-
კურთხი ტაძარი, ბევრი ჭირ-ვარამის
მომსწრე და მნახველი, მაგრამ ყო-
ველთვის ამაყად გადმომზირალი
წარსულიდან. მსუბუქი, ჰაეროვანი
ჩუქურთმები, ორნამენტები, კედლის
მონატულობა... სწორედ იმნაირა,
დიდმა გალაკტიონმა რომ თქვა თავის
„ქებათა ქებაში“:

აქ რომ თაღებია სვეტთა შეკონება,
ისე ნაგებია სიზმრის გეგონება.
ნეტა ვინ აავო, რა ნიჰმა აავო,
რა მაღლმა აავო სვეტი — ნიკორწმინდა!

„ქებათა ქებით“ თავის მხრივაც
უკვდავი ძეგლი დაუდგა ნიკორწმინ-
დას ჩვენი საუკუნის უპირველესმა
ქართველმა პოეტმა. მძაფრად განი-
ცადა და სხვასაც განაცდევინა ქვაში
ჩაკირული ტკივილი, სიხარული,
ერის სული, ქვის ჰარმონიად რომ
ქცეულა და სტრიქონებიდან ამოდის,
ეს მკვეთრი და მოქნილი ხაზებო,
გაუნელებელი გზნებით რომაა „მი-
კარგ-მოკარგული“ ხვეულ ჩუქურ-
თმებში.

ყველაფერი იგრძნობა და ამოიკი-
თება ამ ქვევში, დიდებული უცნო-
ბი ოსტატების ნახელავში. ამაშია
მშენებელი ხალხის სიბრძნე, უკიდუ-
რესი გაჭირვების დროსაც რომ არ
ტოვებს ქართველ კაცს, ფრთებს ის-
ხამს უქვდავებაში შეგუბებული სუნ-
თქვა და ცისკენ აფრენის სურვილი,
ყოველივე ეს ჩვენია, ქართულია,

და ქართველი პოეტი განადიდებს
სწორედ ამ „ჩვენსას. ქართულს“:

მზერა ქართულია, სივრცის დაუნჯებით,
თვალი გართულია ფრთიან ფასკუნჯებით,
ფრთები, ფრთები გინდა,
კიდევ ფრთები გინდა,
გინდა დაუფლო სივრცეს, ნიკორწმინდა!

დრო და ხანი, ყველანაირი ნგრევა
და მიწისძვრა უმწეოა ნიკორწმინ-
დის სიდიადესთან, ყველანაირი ქა-
რი და ქარაშოტი მორიდებით აუფ-
ლის გვერდს მშობლიური მიწიდან
ამოზრდილ და ქვაში განსხეულებულ
საოცრებას.

ეს ფოტო, რასაკვირველია, წლე-
ვანდელ მიწისძვრამდეა გადაღებუ-
ლი და საგანგებოდ იბეჭდება უურ-
ნალის ამ ნომერში.


აი, ასეთი იყო ნიკორწმინდა!
ასეთი იყო, ასეთი არის და ასეთი-
ვე დარჩება. შენების დაუოკებელმა
ყინმა და სწრაფვამ, რითაც ასე უხ-
ვალაა გაუღენთილი ქართული სული,
ხელმეორედ მოაქცია იგი ხარაჩო-
ებში.

მაგრამ ჩვენ ვიცნობთ ნიკორწმინ-
დას, როგორც ამ ფოტოზეა აღბეჭ-
დილი: მაღალი სამრეკლოთი, თალო-
ვანი გუმბათით, ხეავრიელი ცის ნა-
თელი რომ ევლება თავზე, ფართო,
გულგაშლილი კარიბჭეთი, მუდამ
ღია რომაა მორწმუნე მოყვრისა და
მოკეთისათვის.

ხარაჩოებში ჩასმული ნიკორწმინ-
და — ეს წმინდა ტაძარი. შებინ-
ტულ სხეულსა ჰგავს და, გული იჭეჭ-
ქება.

ხვალაც, ზეგაც, წლების შემდეგ
და საუკუნეების იქითაც, მოვა აქ
ყველაფრის ამწონ-დამწონი შთამო-
მავლობა და, ეჭვი არავის შეეპაროს
ამაში, ისიც უეჭველად იტყვის:

შენის სულმნათისად ასვლა ეროვნო,
ყელი გუმბათისა მაღალღვროვანი,
ცამდის აღვრილი, ნებით აღვრილი,
სათნოდ აღვრილი გშვენის, ნიკორწმინდა!





არქიტექტორი—
— მხატვარი

ალექსანდრე ჯაფარიძე



მხატვარი თენგიზ სამხონაძე

ს

ელეფონის გაბმულმა ზარმა გააღვიძა.

— ბოლიში, ბატონო გივი, შუა ღამით რომ მიხდებოდა თქვენი შეწუხება, — გა-

ისმა ყურმილში მიტროპოლიტის ნაცნობი ხმა. — უწმინდესისა და უნეტარესის დავალებით გირეკავთ... ჩვენს სტუმარს, იორდანიის მთავარ-ეპისკოპოსს სიმონ ტერფეს ინფარქტი მოუვიდა... უკანასკნელ დღეშია, იქნებ პროფესორი მოგვაშველოთ...

გივი მაშინვე შეეხმინა სპეციალური სამკურნალო სამმართველოს უფროსს. ისიც შეპირდა — უნივერსალური საშუალებებით აღჭურვილი გადაუდებელი დახმარების კარგა რამდენიმე წუთში სასტუმროში გაჩნდებოდა... პროფესორს მე თვითონ წამოვიყვანო...

ასეთი მოწადინება შემთხვევით არ ყოფილა. ქართული ეკლესია პირველად ლებულობდა იერუსალიმის პატრიარქს, ვიზიტის დიდი მნიშვნელობის გაგებით, სტუმრებს არც ხელისუფლება აკლებდა ყურადღებასა და მზრუნველობას...

რაკი ვერც ღამის ტაქსი მოიხელთა და ვერც კერძო მანქანა, გივი სასტუმროსაკენ ფეხით გაუყვა. მთელი საათი მოანდომა გზას. სასტუმროს წინ ჩამწყრივებულ ტურისტულ ავტობუსებსა და მსუბუქ მანქანებს შორის სასწრაფო დახმარების კარგას თვალი რომ ვერ მოკრა, ცუდად ენიშნა.

მთავარ შესასვლელთან ის მიტროპოლიტი შემოეგება. ტელეფონით რომ ელაპარაკა, გივის ეჭვი გამართლდა. სიმონ ტერფე პროფესორის მოსვლამდე გათავებულა. ჩანს განწირული იყო, რაკი ინფარქტი ადრეც ჰქონია გადატანილი.

გივიმ გარდაცვლილი თანდათან სრულად აღადგინა მეხსიერებაში. ტანთხელი, მოძრავი მოხუცი გახლდათ, საოცრად ცოცხალი, გონიერებით აღსავსე თვლებით, არაბოკი იყო. მაგრამ დალუულ-დალარული სახის კანის სიშავეს მკრთალი სითეთრეც გადაკრავდა.

ქრისტიანნი აწასი

მოთხრობა

თავი ღირსეულად და თან თავისუფლად ეჭირა, თითქოს თავისიანებში ყოფილიყოს. არადა, საქართველოს შემთხვევით ხელში ჩაგარდნილი რამდენიმე წიგნითა და გადმოცემებით იცნობდა... ბედნიერი ვარ, ღმერთმა ივერიის მონასტულების შესაძლებლობა რომ მომცაო. ნაკითხი და დაკვირვებულ კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა, ბევრ რამეს უტბად ამჩნევდა და ზუსტ შეფასებასაც აძლევდა. სუფრაზე ერთ ქართულ სიტყვას ჰკოდა ყური და მაშინვე მის მნიშვნელობას ჩაეძია. ეს სიტყვა, რამდენადაც ვიცი, არაბულ ლექსიკაშიც უნდა იყოს შესული, მაგრამ ყოველდღიურ მეტყველებაში მხოლოდ ქრისტიან არაბებს შემოგვრჩია, თანაც ზუსტად თქვენეული გაგებითო...

სასტუმროს ზედა სართულის დერეფანში, გარდაცვლილის ნომრის წინ, სადაც უკვე ბალზამირებას შედგომოდნენ, ბერძენი და ქართველი სამღვდელონი ირეოდნენ. გვიმ მათ თავის დაკვრით ჩაუარა და პატრიარქებისაყენ გაეშურა, რომლებიც რამდენადმე განმარტობებულად მასალაათობდნენ. ჯერ დიოდოროსს მიუსამძიბრა, შემდეგ ქართული ეკლესიის მეთაურს გაუმყლავნა გულისტკივილი სამწუხარო შემთხვევის გამო, ბერძენთა პატრიარქმა, თავის მხრივ, მადლობა მოახსენა ყურადღებისათვის და შეწყვეტილი საუბარი გააგრძელა:

— მუხლებში ჩამივარდა, მეც ჩამრთეთ დელეგაციაშიო. მევედრებოდა თვალცრემლიანი... დიდი ხნის სიცოცხლე ისედაც არ მიწერია. სამარტში ისე ნუ ჩამიყვანთ, რომ ივერიის მიწა ვერ მოვინახულოო... მიმტკიცებდა, ჩემი შორეული წინაპრები იქიდან არიანო... არ ვიცი.

რა საფუძველი ჰქონდა... უარა არ გამივიდა... არადა ექიმები კატეგორიულად უშლიდნენ შორეულ მგზავრობას... ალბათ თვით მაღალღმერთის ნება იყო, ოცნება აღსრულებოდა და ისიც, რაც შემდეგ მოხდა...

პატრიარქებმა პირჯვარი გადაისახეს და სიმონ ტერფეს სული ხმადაბლა წარმოთქმული ლოცვით კიდევ ერთხელ შეავედრეს უფალს.

— ასე მგონია, ყოველივე იმასთან, რაც ჩვენმა პატრიარქმა ახლა ბრძანა, რაღაც კავშირი იმასაც უნდა ჰქონდეს, რომ განსვენებული აქაური ხილის სურნელებით ვერ ძლებოდა, — ჩაერია საუბარში ნაზარეთის მიტროპოლიტი ისიდორისი. — როცა მის ოთახში უხვად დაზვინული ნაირ-ნაირი ხილი დავინახე, ვუთხარი, ეს რა ამბავია-მეთქი. მიპასუხა, თუ გინდა ქვეყანა გაიციო, ჯერ მისი ხილი უნდა იგემოო... გავეხუმრე — მაშინ ბაჩემ აქ დაბადებულიყავი, კარგი მებაღე იქნებოდი-მეთქი... ასედაც არისო, მიპასუხა. სული ჩემი ნამდვილად აქ, ამ მიწაზეა ნაშობი, ხოლო ხორცი პალესტინაშიო.

— საოცარია! — წარმოსთქვა ქართველთა პატრიარქმა...

ბალზამირების შემდეგ ყველაში გარდაცვლილის ნომერში შევიდნენ და მოკლე პარაკლისი გადაიხადეს. გივი გააოცა სიმონ ტერფეს სახის მშვიდმა გამომეტყველებამ, რომელსაც თითქოს რაღაც ნეტარი ფიქრი შეჰყინოდა სამუდამოდ; კიდევ იმან, ამდენი წამლის სუნით გაჭერებულ ოთახში მაინც ქართული ყვავილებისა და ხილის სურნელება რომ იღვა.

მგზავრებს ადგილები უკვე კარგახნის დაკავებული ჰქონდათ. როცა ავტონსპექციის მანქანისა და შავი „ვოლგის“ თანხლებით, სასწრაფო დახმარების მანქანა შემოსრილდა ასაფრენ მოედანზე და თვითმფრინავის ფუხელაყს უკანა მხრიდან მიადგა. სანიტრებმა ცინკის კუბო მანქანიდან გადმოიღეს და ლუქში შეაცურეს.

გივი და საპატრიარქოს წარმომადგენლები დაემშვიდობნენ ბერძენ არქიმანდრიტსა და ქართველ ეპისკოპოსს, რომელთაც ცხედრის იერუსალიმში ჩასვენება ჰქონდათ დაკისრებული და გასასვლელისაკენ გაემართნენ. კიშკართან უკვე საქმაო ხალხმრავლობა იყო.

— ნეტავი ვინ გაასვენეს? — იკითხა ვილაც ქალმა.

— ამბობენ, არაბი მღვდელიაო.

— საწყალი!.. აქ იმიტომ ჩამოვიდა, რომ სული უცხო მიწაზე დაეღლია?!

გივის გული შეეკუმშა: „მართლაც რომელი მიწაა სიმონ ტერფესათვის მშობლიური და რომელი უცხო?!“.

მანქანის კარი გამოაღო და შეფაკლებულ ცას ახედა.

სრულ გათენებამდე დგება ხოლმე ხანმოკლე ჟამი ღვთაებრივი სიჩუმე-გარინდებისა, როცა შუქი თითქოს მარადიულობის სარკმლიდან გვეფინება; როცა ყველა სულდგმულა წამიერად შეიგრძნობს იმ დიადი ქმნადობის წუთს, ოდეს დემიურგი პირველად დაწვდა ოქროსფერ თიხას და ამით ყველანი გვაქცია იმ ერთისა და უსასრულოს ნამცეცად, რომელსაც საბოლოოდ უნდა შევერწყუათ ღვდამიწაზე მცირედი გახმონების შემდეგ...

გივი თვალმოუცილებლად მისჩერებოდა თვითმფრინავს, ახლა ცის უჩვეულოდ აკამკამებულ სილურჯეში თანდათან რომ იძირებოდა და ფიქრობდა ადამიანზე, რომელმაც სიცოცხლეში საკუთარი ფესვებიც კი ბოლომდე ვერ მოიძია.

საბრალო სიმონ ტერფე, კაცო, სამშობლო დაკარგულო!

სად დაივანოს, სად განისვენოს შენმა მიუსაფარად დაარჩენილმა სულმა?!



...ცეცხლოვანი ბრძალა თვალები. წელში ამაყად გამართულნი, ცერზე შემდგარნი მოდიან.

„აჭარული“, „მთიულური“, „შეჯიბრი“... სამშობლოს სიყვარულში ეჭიბრებიან ერთმანეთს ალგეთს დაზრდილი ლეკვები.

წითელი მანდილები წამოუსხამთ გოგონებს. შავჩოხიან ვაყებს „იარებს უყუჩებენ“. საოცრად ლამაზი სანახაობაა.

ქართული სული ზეიმობს, როკავს ქართული გენი.

კულისებში კი, ერთი მეტად სიმპათიური მამაკაცი ლელავს. თვალს არ აშორებს მოცეკვავეებს.

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრი, მუსიკა თანდათან სკენის სიღრმეში გაუჩინარდა. ბიჭებს სუნთქვა შეეკრიათ. „მის“ სახეს თვალს არ აშორებენ. გოგონები კრთომით შესცქერიან. შეფასების მოლოდინში გარინდულან. რეზო მასწავლებელმა გაიღიმა. ეს იშვიათად ხდება. შვებით ამოისუნთქეს. დარბაზში ტაშია. უამრავი ყვავილი. აღფრთოვანებული სახეები.

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისათვის — ბატონ რეზო ჭანიშვილისათვის. ქართული ცეკვა ყველაფერია, მისი სისხლხორცეული ნაწილია. მისი ცხოვრების ყოველი დღე ამის ნათელი დასტურია. იგი აქტიურ და ნაყოფიერ საქმიანობას ეწევა საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირში, სადაც თავმჯდომარის (ბ-ნ თენგიზ სუხიშვი-

ლის) პირველი მოადგილეა, საღამოს კი, მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში მოუთმენლად ელიან ანსამბლ „მერანის“ მოცეკვავეები.

ის მათთვის რაღაც განსაკუთრებულია, მაგიური, მონუსხულივით შეკუთრებენ მოსაუბრე რეზო მასწავლებელს, რომელიც ყოველთვის პოულობს რაღაც საინტერესოს, ახალს, აქტუალურს. მათთვის საჭიროს, და ლამაზი გამართული ქართულით ესაუბრება მათ. სწორედ ამ სიტბომ და სიყვარულმა მოიყვანა ანსამბლის მეორე თაობა ასე ერთ მუშტად შეკრული, ქართული სულით აღზევებული, საკუთარ მიწა-წყალზე უზომოდ შეყვარებული გოგო-ბიჭები საკონცერტო დარბაზში.

რეზო მასწავლებლის თვალს არაფერი გამორჩება უყურადღებოდ. ერთი პატარა შავგვრემანი ბიჭი მოვიდა ანსამბლში. ბებია მოთმინებით ელის ხოლმე ვესტიბიულში შვილიშვილს. ბიჭს მშობლების მაგივრობას ბებია და ბაბუა უწევს. რეზო მასწავლებელი ხელფასის ნახევარს ყოველთვის ამ გულჩათხრობილ ბიჭს ურიცხავს. საცეკვაო კოსტუმებზეც ზრუნავს. ხელფასის მეორე ნახევარს კი ეროვნულ გვარდიას უთმობს.

ანსამბლს ჩატარებული აქვს ოცამდენიმე საქველმოქმედო კონცერტი, რომლის შემოსავალი გადაერიცხა დემოგრაფიულ საზოგადოებას, მერაბ კოსტავას ფონდს, სამაჩაბლოდან ლტოლვილ პატარა ქართველებს. დღევანდელი, 13 ივნისის სოლო კონცერტის მთელი შემოსავალი კი მიწისძვრით დაზარალებულთ მოხმარდება.

საბედნიეროდ, არც მოცეკვავენი რჩებიან უყურადღებოდ. სიამოვნებით შესცქერის სცენაზე მოსრიალე ქალ-ვაყს განათლების სამინისტროს სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს უფროსი ბატონი ზაალ ნაცვალაძე. ამ მეტად რთულ და დაძაბულ პერიოდშიც პოულობს იგი დროს ნორჩებისათვის. აი, ახლაც საფრანგეთს მიმავალთ სოლიდური თანხა გადაურიცხეს გასამგზავრებლად. ბავშვები იმედოვნებენ, რომ მათი მეგობრობა უფრო მჭიდრო და საქმიანი გახდება და თავის მხრივ, კი არ შეარცხვენენ, უფრო აამაღლებენ ერისა და ქართველი „კაცის“ ღირსებას. კარგი ქცევით, სწავლით, მოყვასისა და მშობელი მიწის სიყვარულით, ცეცხლოვანი ლამაზი ცეკვით ვალში არ დარჩებიან სამშობლოს.

ღმერთი იყოს მათი მფარველი!

ლელია კინწუარაშვილი



ანაკლოზა

ერთხელ დენის დავიდოვი. ავანგარდში. თავად პეტრე ბაგრატიონთან გამოცხადდა და უთხრა: „მთავარსარდალმა მიბრძანა თქვენს ბრწყინვალეობას მოვახსენო. რომ მტერი ცხვირზე გვაწის და გთხოვთ, დაუყოვნებლივ უკან დაიხიოთ“.

„მტერი ცხვირზე გვაწის? ვის ცხვირზე? — იკითხა ბაგრატიონმა. — თუ თქვენსაზე, მაშინ ახლოს ყოფილა. თუ ჩემსაზე — მაშინ სადილობასაც მოვასწრებთ“.

სპარტის გამოჩენილ მოქალაქეს სიმონიდეს შეეკითხნენ: თუ გაგეკეთებია ცხოვრებაში ისეთი რამ, რაზეც მერე გინანიაო?

— საკმაოდ ხშირად, — იყო პასუხი, — ბევრჯერ მინანია, რად ვილაპარაკე, მაგრამ არასოდეს — ჩუმად რად ვიყავი-მეთქი.

მსახიობმა მიხილ გელოვანმა, რომელიც სტალინის როლს ასრულებდა, მოითხოვა ჩაესახლებინათ სტალინის აგარაკზე, რიწის ტბაზე. როდესაც ამის თაობაზე სტალინს მოახსენეს, მან იკითხა:

- მაინც რატომ უნდა გელოვანს რიწაზე ცხოვრება?
- მას უნდა, რომ თქვენს ხასიათს ჩაწვდეს.
- მაშინ ტურუხანაისკის გადასახლებიდან დაიწყოს, — უპასუხა სტალინმა.

ერთ-ერთ სამხედრო ოპერაციის დროს ცნობილმა ინგლისელმა ადმირალმა ჰორაციო ნელსონმა შეცდომა დაუშვა, რის შესახებაც გადაწყვიტა, დეტალურად მოეხსენებინა უფროსობისათვის. სათანადო მოხსენება, თავის მართლებასთან ერთად ფაქტის ჭეშმარიტ აღწერას წარმოადგენდა. ადმირალის თანამებრძოლმა და მეგობარმა, კაპიტანმა ბოლმა, რომელიც მოხსენებას გაეცნო, შენიშნა, რომ ეს იყო ლაკონურობისა და ნათელი სტილის ნიმუში, მაგრამ მისი გაგზავნა ხელმძღვანელობისათვის მიზანშეუწონლად მიიჩნია.

— მეგობრულად გირჩევთ, — მიმართა ადმირალს მეგობარმა, — არასოდეს არ იმართლოთ თავი მანამდე, სანამ თქვენთვის ბრალი არ დაუღიათ.

ოცდაათიან წლებში სტალინმა მოიწვია ოთხი ცნობილი კინემატოგრაფისტი და ჰკითხა; თუ რა სჭირდებოდათ მათ ნორმალური მუშაობისათვის: „ითხოვეთ, ნუ მოგერიდებთ, ვეცდები დაგეხმაროთ“.

რომმა დაიჩივლა, რომ მთელი ოჯახი ერთ პატარა ოთახშია შეყუთული. ცოლი ავადმყოფობს, სჭირდება ბინა.

— კარგი, გეკნებოთ ბინა. — თქვა სტალინმა.

პუდოვკინმა კი განუმარტა, რომ მას მხოლოდ ქალაქგარეთ შეუძლია ნორმალური მუშაობა, ამიტომ ესაჭიროება აგარაკი.

— კარგი, გებნებოთ აგარაკი, — დაჰპირდა სტალინი.

— პირივემა თქვა, რომ მას აქვს აგარაკი, მაგრამ იქამდე ძნელი მისასვლელია, გზაში ძლიერ იღლება, რაც ხელს უშლის მუშაობაში, ამიტომ უნდა მანქანა.

ალექსანდროვმა გაიცინა და დასძინა:

— მე ისეთი დიდი თხოვნა მაქვს, ვერც კი გამიბედავს მისი გამხელაო.

— თქვით, თქვით, ნუ გერიდებთ. — გააშხენვა სტალინმა.

— ამხანაგო სტალინ, თავს ბედნიერად ჩავთვლიდი, რომ მიმეღოთ თქვენი წიგნი „ლენინიზმის საკითხები“, თქვენივე ავტოგრაფით.

— კეთილი, მიიღებთ წიგნს ავტოგრაფით, — უპასუხა სტალინმა, ალექსანდროვმა მართლაც მიიღო ავტოგრაფიანი წიგნი... ბინაც, მანქანაცა და აგარაკიც დამატებით.

ლოიდ ჯორჯს, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს მიაწერენ ასეთ თქმას საქართველოსა და ქართველების შესახებ.

1919 წელს, პარიზის საზავო კონფერენციაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წარმომადგენლები კ. ჩხეიძე და ე. გიგეჭკორი ეროვნულ ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილნი. როცა მათ ჩაცმულობას ყურადღება მიაკცია ერთმა მოხუცებულმა ლორდმა და სადაურობა იკითხა, ინგლისის პრემიერ-მინისტრმა უპასუხა:

— ნუ გიკვირთ ლორდ, ესენი იმ ქვეყნიდან არიან, რომელსაც შეუძლია მთელი ევროპა მოამარაგოს მინისტრებით.

ვარსკვლავთმრიცხველმა იწინასწარმეტყველა ერთი ქალის შესახებ, რომელიც საფრანგეთის მეფეს ლუი IX-ს ძალიან უყვარდა, რომ ერთი კვირის შემდეგ გარდაიცვლებაო. ეს ქალი მართლაც გარდაიცვალა. მეფემ ვარსკვლავთმრიცხველი იხმო და მოსამსახურეები წინასწარ გააფრთხილა, როცა განიშნებოდა, ხელი სტაკეთ და მოაკვდინებოდა. ვარსკვლავთმრიცხველი სასახლეში გამოცხადდა და მეფემ მკითხა:

— სხვისი ბედ-იბღლის ცოდნას რომ ქადულობ, შენს შესახებ რაღას იტყვი, როდის გიწერია სიკვდილი?

— მე თქვენო უდიდებულესობავ, თქვენზედ ადრე, მხოლოდ სამი დღის წინ დავღვევ სულს.

მეფე პასუხის შემდეგ განსაკუთრებულ ზრუნვას იჩენდა ვარსკვლავთმრიცხველისადმი და ყოველს გაჭირვებაში ეხმარებოდა.

როდესაც 27 წლის გენერალი ნაპოლეონ ბონაპარტი იტალიის წინააღმდეგ მოქმედი არმიის მთავარსარდალად დაინიშნა, ბევრი ხალხისთვის რომელიც ემორჩილებოდა ახალგაზრდა მხედართმთავარს, განსაკუთრებით ძველი თაობის გენერლები თავილოდნენ „ახალგაზრდა და ტანითაც მომცრო ბონაპარტის“ უფროსობას. ამგვართა რიცხვს მიეკუთვნებოდა გენერალი ოჟერო (შემდეგში მარშალი), რომელიც პირველ დღეებშივე მწვავედ წაეკამათა მასზე ასაკით ბევრად უმცროს ნაპოლეონს. ოჟერო აღნაგობითაც ბევრად მაღალი იყო და ზემოდან დაჰყურებდა „პატარა კაპრალს“.

— გენერალო, — შეუტია მაშინ ბონაპარტმა, — თქვენ ერთი თავით მაღალი ხართ ჩემზე, მაგრამ თუ უკმეხად მელაპარაკეთ, მე დაუყოვნებლივ მოგსპობ ამ განსხვავებას.

იულიუს კეისარმა წინადადება შეიტანა სენატში, რათა ერთ-ერთი პროვინციის მიწები ჯარისკაცებს დარიგებოდათ. სენატორთა უმრავლესობა გულიწყრომით შეხვდა კეისარის აზრს. ლუციუს გელიუსმა კი, რომელიც სიბერისაგან მთლად მიხრწნილი იყო, განაცხადა: სანამ მე ცოცხალი ვარ, ეს არ მოხდებაო.

„მოვიცადოთ, — მიმართა სენატორებს ორატორმა მარკუს ტულიუს ციცირონმა, — გელიუსი ხომ დიდი ხნით არ თხოულობს ვაღის გადიდებას“.

იმპერატორი ტიბერიუსი ძალიან იშვიათად ცვლიდა თავის მოხელეებს და ამბობდა თურმე: როცა ბუზები საკმაოდ გაძლებიან, ისე ძლიერ აღარ იკბინებიან, როგორც მშიერნიო.

როდესაც ამერიკელებმა პანამის არხი ჩაიგდეს ხელში, ამის შესახებ შეერთებული შტატების პრეზიდენტმა თეოდორ რუზველტმა დასძინა: მე რომ ტრადიციული მეთოდები გამომეყენებინა, შედეგი იქნებოდა ნახევარი საუკუნე ლაქლაქი და მხოლოდ ამის შემდეგ პანამის არხი... მე ვარჩიე პირველად მიმეღო პანამის არხი, ხოლო ამის შემდეგ — ნახევარი საუკუნე ლაქლაქი.

1989 წლის 19 სექტემბერს საქართველოს ათი სხვადასხვა პროფესიის ადამიანებისაგან შემდგარი ჯგუფი ეწვია ამერიკიდან. ისინი მიჩიგანის შტატის, გრანდ ტრავერსის საგრაფოს, ქალაქ ტრავერსი სიტიდან იყვნენ. რა მიზნები ჰქონდათ?

„პირველ რიგში ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება — გაგვეცნო საქართველო, რომლის შესახებაც არაფერი ვიცოდით გარდა იმისა, რომ იგი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი რესპუბლიკაა, გაგვეცნო ხალხი, ვინც ასე გულთბილად გვეპატიებოდა და მცხეთისა და ტრავერსი სიტის დამძობილებას გვთავაზობდა.

ვერაულობდით, რომ დაგვხვდებოდა უფერული, მოღუშული, გულდახურული, რეპრესირებული ერი. ბევრი გაგვეგონა იმის შესახებ, რომ საქართველო მოსკოვი არ არის, მაგრამ რაც ჩვენ აქ დაგვხვდა, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: სულგრემელობა, გულდიაობა, საოცარი სტუმართმოყვარეობა, გულში ჩამწვდომი ხალხური სიმღერები“, — ასე წერს გაზეთ „რეკორდ ივლში“ მისი რედაქტორი, ქ-ნი ლორეინ ანდერსონი.

ხუთი დღე დაჰყვას ამერიკელებმა საქართველოში, ცხოვრობდნენ ქართულ ოჯახებში და მოხდა ის, რაც ჩვენთვის უცხო და უცნაური არ ყოფილა — ხუთი დღის მერე თბილისის აეროპორტში გამოშვებობა უჭირდა და ბავშვივით ზღუქუნებდა ათი ამერიკელი. არ იფიქროს, რომ მასპინძლებმა ეს ჩვენს დამსახურებად მივითვალეთ. აი, რას წერდა საქართველოზე ამერიკულ გაზეთში ჯო მუპა — ქალაქის მერი: თუ მოგზაურობისას ისეთ ქვეყანაში მოხვდით, სადაც თელთან, რომ ღმერთის წილხვედრ ქვეყანაში ცხოვრობენ, ალბათ იფიქრებთ, ლაპარაკი გრანდ ტრავერსზეაო. სწორია, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ, რადგან ქართველებიც ზუსტად ასე ფიქრობენ“.

ღეო ანკერსონი, ტიპიური ამერიკელი ფერმერი იყო, ზუსტად ისეთი, როგორიც კინოფილმებში გვინახავს. იგი წერს, რომ შეყვარებულია ქართველებზე, მაგრამ არ ესმის იმ სისტემის, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. მისი მეუღლე, ჯინ ანკერსონი, გაეცინებათ, მაგრამ ტიპიური ფერმერის ტიპიური ცოლი, გულახდილად ამბობს: „ამ მოგზაურობამ მასწავლა, რომ არასდროს არ ვიმსჯელო ქვეყანაზე, რომელსაც არ ვიცნობ“. ვფიქრობ ეს აღიარება არანაკლები ქათინაურია, ვიდრე ათასი გაცემილი სიტყვა. ანანდა ბრიკერი — ხელოვნებათმცოდნე, ადფრთოვანებული წერს: „ამ მოგზაურობამ ცხადყო ის, რაც მე ისედაც მშვენივრად ვიცოდი — სულიერი კონტაქტები ყველაზე მნიშვნელოვანი რამაა დედაქალაქის ზურგზე“.

ერთ წერილს ასეთი სათაური აქვს — „სულგრძელ ქართველებთან ყოველი საღამო შობის დღესასწაულს ჰგავდა“.

ალბათ ამიტომ მოეწონათ მათ საქართველო და დახატეს სამომავლო გეგმები: თავიანთ თანამოქალაქეებს გააცნონ საქართველო, ჩაატარონ ლექციები, აჩვენონ ხლაიდები, შეიძინონ ქართული ენის ჩანაწერები.

„ხნოვისმოყვარეობას ვევობრობაველ მივყავართ“



მოაწყონ ქართველ მხატვართა გამოფენები, გაცვალონ სტუდენტები და მოსწავლეები.

ყოველივე ეს „რეკორდ ივლის“ ოქტომბრის ნომრებშია მოთავსებული, რომელიც ზუსტად ერთ თვეში ყველა იმ ოჯახმა მიიღო, ვინც ამერიკელებს მასპინძლობდა.

ჩვენი და ჩვენი მეგობრების ოჯახების საერთო სტუმრები არქიტექტორი ჯონ დიქსტერპაუზი და ზემოხსენებული გაზეთის რედაქტორი, ლორეინ ანდერსონი იყვნენ. გაზეთები აჭრელბული იყო ჩვენი და მათი ფოტოებით, სტატიებით საქართველოზე, მისი დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ: „9 აპრილი“, „ისინი ბრალს სდებენ მოსკოვს“... ერთი სიტყვით, ითქვა ყველაფერი, რაც დღეს სტიკია და ახარებს საქართველოს, ქართველ კაცს.

სტატიაში 9 აპრილზე, რომელსაც მთელი გვერდი აქვს დათმობილი, იგრძნობა, რომ ამ თემას ყურნალისტი მხოლოდ სენსაციური ინფორმაციის გამო არ სთავაზობს ამერიკელ მკითხველს და ერთი ნიშანდობლივი ფრაზა მასში ნათქვამი: „9 აპრილმა ქართველ ხალხს დაანახა, თუ რა საფეხურამდე შეიძლება მივიშვან დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში და რომ „გლასტონსტი“ და „პერესტროიკა“ სულაც არ გულისხმობს კონსტიტუციის 72-ე მუხლის თანახმად საბჭოთა კავშირიდან გასვლას“. მას შემდეგ ხაში წელი გავიდა, ახლა ლორეინ ანდერსონი მოუთმენლად ელის ჩვენს ჩასვლას, რათა თავიანთი გაზეთის მკითხველებმა ისიც გაიგონ, როგორი წინსვლა იყო ამ ბოლო ერთი

წლის განმავლობაში, როგორ სრულდება ქართველი ერის სანუკვარი ოცნება, რა გზას ადგია იგი ახლა.

ამას წინათ წერილი მივიღე ლორეინსაგან: ერთ-ერთ კოლეჯში საქართველოზე ლექციის ჩასატარებლად მივდივარ, თქვენთან ყოფნის დროს გადაღებული ფოტოები და თქვენი ნახუქარი ნივთებიც თან მიმაქვს — ყველას უნდა ვაჩვენო თქვენი მხატვრების რეპროდუქციები, ჩონგური, სალამური, ზევსურული წინდები, ჩითები, ზურჯინი და უამრავი სხვა რამ. რაც მთავარია, თუ შეეძელი, ქართული სიტომ უნდა გადაიქო.

ამ წერილთან ერთად თავის ერთი მოხრობა გამომიგზავნა. სევდიანი, ღირსეული... როცა დაგვექი და კითხვა დაიწყო, უცებ გადავწყვიტე. მეთარგმნა და „დროშის“ რედაქციისათვის თხოვნით მიმეშარათა — ქართველი ხალხის მადლიერების ნიშნად გამოშვებენებინა ეს პატარა მოთხრობა.

1 ივლისს გრანდ ტრავერსში თორმეტდღიანი საბასუხო ვიზიტით ქართველთა ჩვიდმეტკაციანი ჯგუფი მიემგზავრება, ქართველების ვიზიტი გრანდ ტრავერსის საგრაფოს ტრადიციულ დღესასწაულს „ალუბლების ფესტივალს“ და ამერიკის თავისუფლების დღეს ემთხვევა. ამ ღირსშესანიშნავ დღეს, 4 ივლისს, ქალაქ ტრავერსი სიტიში აღიშართება გამოჩენილი ქართველი მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის ძეგლი, არქიტექტორი გიორგი მაჭარაშვილია. „ეს ძეგლი იქნება დასტური იმ მეგობრობისა, რომელსაც საფუძველი სულ რამდენიმე წელია ჩაეყარა, მაგრამ მას ბოლო არა აქვს და დაიწყება არ უწერია“, — ასე წერს თავის გაზეთში ლორეინ ანდერსონი.

სწორედ მათ გაეატანდით ჩვენს „დროშას“, რომელშიც ამერიკელი ყურნალისტი ქალის, ლორეინ ანდერსონის ეს უპრეტენზიო მოთხრობა ქართველ ხალხს კიდევ ერთხელ უწყმუნებს, რომ ყველა ჯურის ადამიანისათვის არსებობს ერთი წმინდათაწმინდა: კეთილშობილება და სიბორობა, რომ ეხელა ქვეყნის კეთილი ნების ადამიანები ერთი და იგივე ფლეიტაზე ერთსა და იმავე მელიდას უკრავენ.



ვლილვა

მოთხრობა

ზაფხული ისე არ ჩაივლის. რუბი არ გამახსენდეს. წლები გავიდა და მაინც თვალწინ მიდგას. როგორ მოფრატუნებდა ხოლმე დაღმა ქუჩაზე, ძველ გახუნებულ კაბასა და მომწვანო ქალის სვიტრში.

რუბი ტყეში ცხოვრობდა, საგდენის ფერმის მიღმა. ჩვენი დაბა შიჩიგანის ერთ მიყრუებულ მხარეში, სადაც ფერმერები ჯერ ძროხებს გამოწველიან სისხამ დლით, მერე კი სეიჩინისა და ფლინტის ქარხნებში მიდიან სამუშაოდ. თითო რუბისთანა ტიპს ნებისმიერ სოფელსა თუ პატარა პროვინციულ ქალაქში იბოვით; მათ თითქოს ყველა იცნობს, მაგრამ სინამდვილეში მათი ამბავი არავინ იცის, ერთი ან დიდი-დიდი, ორი კაცის გამოკლებით...

წლები გადიოდა და ნელი-ნელ ჭორებითა და ლეგენდებით იმოსებოდა რუბისეული ცხოვრება. არცაა გასაკვირი, ქოხი შიგ ტყეში ედგა და ჯიუტად უარობდა, ელექტრონი ან წყალი მაინც გაეყვანა იქ. კაცმა არ უწყობდა, საიდან მოვიდა ან როდის დასახლდა ამ კუთხეში. იფიქრებდი, ქვეყნის გაჩენის დღიდანო.

ცენტრში იშვიათად გამოჩნდებოდა, ოღონდ აუცილებლად შეივლიდა როუზის კაფეში ფინჯანი ჩაის დასალევად. ყველა ხანშიშესულ, ფეხგამდგარ ძველ მოსახლეს გულითადად მიესალმებოდა და მერე დახლთან დადგებოდა მომღიმარი, თან მუდამ რალაცას ღიღინებდა თავისთვის, მე რომ გავიცანი, იმ დღეს ერთადერთი ბაბუაჩემი იყო, ვისაც გამოვლაპარაკა.

„გამარჯობა, ჯიმი,“ — თქვა და მისი რბილი, მოულოდნელად რბილი ხმა თითქოს ბებერ, დანაოკებულ სახის კანზეც კი მალამოდ დაეღო.

„ჯიმიო“ ბაბუაჩემისათვის მანამდე კაციშვილს არ დაეძახა. ჩვენი-ნებიც კი მუდამ ჯიმიზით იხსენიებენ.

„გაგიმარჯოს რუბი,“ — უპასუხა. მან გაიღიმა და ალერსიანად გადმოხედა. „მაშ, ესაა შენი შვილი-

შვილი?“ — თქვა და გვერდით ჩამომიჯდა. წიწვოვანამ რომ ნაადრევ ზამთარში სურნელი იცის, ისეთი სუნი ასდიოდა თითქოს, სახეც დაშარული ჰქონდა, გარუჯული.

„რა გქვია?“ — რალაც ეშმაკურად მკითხა. გამოთქმაში თითქმის მივიწყებული კუთხური კილო შემორჩენოდა.

„მიმი,“ — ვეუბნები, თან ცალ ხელში ნამცხვრის ნატეხი მიჭირავს. მეორეში კი ჭიქა რძე. აღარც ვიცი, რომელს რა ვუყო.

„მიმი“, — გაიმეორა. „კარგია. შენისთანა ქალიშვილს რომ ეკადრება, ისეთი სახელია სწორედ“.

მერე ერთხანს ფართო, გამოხუნებული კაბის ნაკეცებში ჩაკარგულ ჯიბეში იფათურა, რალაცას ეძებდა და ბოლოს ხის თვითნაკეთი, პაწია ფლეიტა ამოაძვრინა.

„აჰა, შენი იყოს“.

მადლობა ძლივს ჩავილულულსმი, ხელი კი თავისით გამეჭკა.

„რუბი, ეგ რამ მოგაფიქრა?“ ეკითხება ბაბუაჩემი, თან თითქოს თვალით ანიშნებს რალაცას.

„კარგი ახლა, ჯიმი — ჩემი საქმისა მე ვიცი,“ — ეუბნება რუბი და ისე უყურებს, როგორც ეს უფროსებმა იციან ხოლმე ხანდახან. — „აიღე,“ — მერე მე მომიბრუნდა, — „არაფერია მოსარიდებელი“.

მიმჭრალი მწვანე თვალები აუციმციმდა, როცა ჩავბერე და რალაც ისეთი ჰყვიტინა ხმა ამოვალებინე, რომ მეზობელ მაგიდებზე ერთბაშად შეწყდა გაზეთების შარიშური, ყავის სმა და ყველა მე მომაჩერდა. ბაბუაჩემიც უცნაურად მიყურებდა, შეწუხებული და ცოტათი შემფრთხილებულიც. რუბი კი მშვიდად მიადგა დახლს, რალაც უცნაურს ღიღინებდა თავისთვის და როგორც მუდამ, ახლაც ერთი ფინჯანი ჩაი ითხოვა.

„წავედით მიმ,“ — ბაბუა მეუბნება, ხელს მიკიდებს და დგება, თავისი ჭიქა ყავა არც დაუმთავრებია, ისე. რძეს კიდე შეველეოდი, მაგრამ ტბილელზე ნურას უკაცრავად

ვად — საჩუქარი ილიაში ამოვიჩარე, რის ვაივაგლახით ჩემი კუთვნილი ნამცხვარიც თითებში მოვიქციე და მივყევი. გარეთ გავედით, მზეში და ბაბუაყ თითქოს გამოერკვა, დაიხარა და უცებ მაგრად მიმიხუტა მკერდზე.

„მაგ საჩუქარს გაფრთხილება უნდა მიმ“ — ყურში წამჩურჩულა.

ან რა მისი თქმა მინდოდა, განათვითონ კი ვერ ვხვდებოდი — მივედით თუ არა სახლში, სამალავიდან მაიმის დანატოვარი ძველი სიგარების ყუთი გადმოვიღე, სადაც ჩემი განძეულობა მეწყო: ციცრის კვერცხი, მოზვრიკუდას ჯადოსნური ლერო და ამერიკის პაწია დროშა, შარშან მამაჩემის საფლავიდან რომ ამოვადრე, როცა არავინ იყო დამნახავი...

მერე, როგორც კი მარტო დავიგულედი ხოლმე თავს, ამოვიღებდი და ვაცოდვილებდი ჩემთვის — ეს წვალეზაც ისე მსიამოვნებდა, მართლა მუსიკოსად წარმომედგინა თავი. ზაფხულობით კი არც საუზმე მახსოვდა და არც სამხარი, მთელი დღეები ტყე-ტყე დავგხეტებოდი და კაცი არ მყავდა გამკითხავი. განატოლებთან ვიყავი დამდურებული — უბრალოდ, საგდენის ფერმის უკან, მდინარის პატარა შენაკადზე, ტოტებგადაკიდებული ერთი ხე მქონდა ამოჩემებული, მის ჩრდილში ჯდომას არაფერი მერჩინა. იქ მუდამ გრილოდა და ზოგჯერ ჩიტების გადაძახილი ან მუხნარის ფოთლებში მოსრიალე ქარი თუ დაარღვევდა სიჩუმეს. ფლეიტაზეც საათობით შემეძლო დაკვრა და უცაბედად ვერც ვერავინ წამომადგებოდა თავზე.

დაკვრა კი მიყვარდა, ოღონდ პირველხანობას ჩემი ფლეიტის ხმაზე შეშინებული ჩიტებიც ყურდებოდნენ. მერე და მერე, ზაფხულის მიწურულს, მაინც გავიტანე ჩემი და რალაც ისეთს ვუბერავდი, რაც ტყის შრიალში სასტიკ დისონანსად აღარ ისმოდა.

რუბისაც სწორედ იქ შევხვდი ხელმეორედ. ნეკერჩხლის უზარმაზარ მორზე ვიყავი გაწოლილი და მალლა ტოტებში აქეთ-იქით მოხტუნავე ციყვებს ვუცქეროდი. შორიახლოს, შამბნარიდან რალაც ხმე-

19.7.27

ჩემო კარგო ქვეყანავ!

რა ბევრისმტკმელია ეს სიტყვები, რა სხარტად და ადამიანურადაა გადმოცემული გრძნობა მამულის სიყვარულისა. ესაა ბუნებრივი ყვირილი ქართული სისხლისა. ქართული ჭიშისა, ქართველი კაცის გულის ძახილია, თბილი და მშობლიური, ფაქიზი, აუღმღრველი.

დიახ, სულ სხვა გრძნობაა ამ სიტყვებში, და ამ გრძნობით შთაგონებულმა კომპოზიტორმა რევაზ ლალიძემ გულში-ჩამწვდომ პანგად "ჩამოქნა დიდი ილიას შესანიშნავი ლექსი:

ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ
მოგიწყენია?
აწყყო თუ არა გწყალობს,
მომაველი შენია..

სად არ მოისმენთ დღეს სიყვარულითა და რწმენით აღსავსე ამ ლამაზ მელოდიას, სიმღერას, ქართველი ხალხის თავისებურ ჰიმნად რომ იქცა. რადგან პირდაპირ ეხმაურება ჩვენს დღევანდელობას; საქართველოში მიმდინარე სასიკეთო

ძვრებს სამშობლოს უკეთესი მერმისისათვის.

რევაზ ლალიძის სიმღერების განსაკუთრებული პოპულარობა შემთხვევითი როდია. ბევრმა მისმა მელოდიამ გაიკაფა გზა ფართო მასებისაკენ, გავიხსენოთ თუნდაც „სიმღერა თბილისზე“, საოცრად ლაღი, ფრთიანი, დამტკბობი, დამამებელი, „ბალადა ვაზზე“, „მთაწმინდა“, „ტყე შეუხანვე შვილებსა“, „გოგოვ, გოგოვ“, „სიმღერა მეგობრობაზე“ და, რომელი ერთი დავასახელო კიდევ.

ეს მელოდიები ხომ ქართველი კაცის ცხოვრებაში განუყრელ თანამგზავრებად იქცნენ. ოთხი ათეული წელია რევაზ ლალიძის სიკეთითა და სიყვარულით გამთბარ მელოდიებს შღერის დიდი თუ პატარა.

დიდია კომპოზიტორის დამსახურება სასიმღერო ყანარში, თანამედროვე ელიტური სიმღერის განვითარებაში.

მრავალფეროვანია რე-

ვაზ ლალიძის შემოქმედებითი თემატიკა. პატრიოტიზმი და თანამედროვეობა მისი მუსიკალური შთაგონების მთავარი ძარღვია. ამის დამადასტურებელია ჭერ კიდევ თბილისის კონსერვატორიაში სახელმწიფო გამოცდაზე წარდგენილი მისი სიმფონიური პოემა „სამშობლოსათვის“ (1949 წელი), შექმნილი ილია ქავჭავაძის „დიმიტრი თავდადებულის“ მიხედვით.

კომპოზიტორის პირველი შემოქმედებითი წარმატებაც სწორედ ამ ნაწარმოებს უკავშირდება. მასში ნათლად გამოიკვეთა ლალიძის ხალასი მელოდიური ნიჭი, სიმფონიური აზროვნების უნარი, ღრმა ეროვნული კოლორიტი, ჯანსაღი ქართული სული, დახვეწილი გემოვნება.

ნაციონალურ ეროვნულ ფესვებთან მჭიდრო კავშირი კიდევ უფრო ღრმავდება მის მომდევნო პერიოდის ნაწარმოებებში. ხელოვანი მთელი არსე-

ბითაა დაკავშირებული ხალხურ მუსიკალურ საუნჯესთან, ერის სულიერ კულტურასთან. თავის ხალხთან, მშობლიურ მიწა-წყალთან. ცა-ფირუხ, ხმელეთ - ზურმუხტოვანი საქართველო, ქართველი ხალხის გამორული წარსული თუ თანამედროვეობა; უხვად და დღე-ღიადაც ასაზრდოებს კომპოზიტორის შთაგონებას. სწორედ ამიტომაც ხალხური საგანძურთან იღებს იგი მისთვის ესოდენ საჭირო, ტიპიურს, შემდეგ კი თავის შემოქმედებითს „ქურაში“ ატარებს, ანვითარებს, ანზოგადებს და, მხოლოდ „დაღვინების“ შემდეგ, ახლებურად ამეტყველებულს წარადგენს მსმენელის წინაშე.

ასე სწამდა, ასე ესახებოდა ჭეშმარიტი ხელოვანის დანიშნულება რევაზ ლალიძეს, მშობლიური ბუნება, სამშობლოს მთა-ბარი არაერთხელ გამხდარა მისი შთაგონების მასაზრდოებელი წყარო. ალბათ, სძიტო-

ბი მომესმა, მერე დავინახე კიდევ — რუბი მოდიოდა, ფრთხილად. იმავე ამოჩემებულ მელოდიას ჩუმად ლილინებდა თავისთვის და შიგადაშიგ რომელიღაც ბალახის მოსაწყვეტად იხრებოდა.

ერთხანს ვუსმინე, მერე გავთამამდი და ვცადე, ხმა შემეწყო მისთვის. ჩემკენ არც მოუხედავს, ოღონდ ვითომც აქ არაფერი, ტონს აუწვია. მეც მივყევი და უტებ რუბი ბერნისის სიტყვებზე დაამღერა — მაშინვე ვიცანი, სწორედ ის ლექსი იყო ბაბუაჩემს ასე გამორჩეულად რომ უყვარდა.

რა გითხრათ, ხმას ხმაში კი ვერ ვაჭენდი, მაგრამ მაინც არა უშავს, მე თუ მკითხავთ, დუეტით გამოვკვივდი.

„აჰა, შენ ჭიმის შვილიშვილი უნდა იყო, გიცანი“. — თქვა და იქვე ჯიკზე ჩამოჯდა, წამსვე ჩამოეხტი და გვერდზე მივუსკუბდი.

„გამარჯობა, რუბი“.

„გვარიანი გისწავლია-დაკვრა“. — მეუბნება.

„ისე რა.. შენ არ დაუკრავ?“ — ვეუბნები დარცხვენილი და ფლეიტას ვაჩეჩებ ხელში.

„არა, მარტოა არა.“ — მეუბნება და კალათიდან თავის ფლეიტას იღებს სწორედ ისეთს, მე რომ მაჩუქა, ოღონდაც ცოტათი უფრო დადს და ბევრად უფრო ნახმარს. — „აი, შენთან ერთად კი რამდენსაც გინდა“.

ჰოდა, ასე ვუკრავდით საღამომდე — მე ჩემს მარტივ გადასვლებს ვუ-

ხამებდი მის პანგს და ტყეშიც შემზრუნველად ჩამოწვა ბინდი, მერეღა გამახსენდა, სახლში რომ ვიყავი წასასვლელი.

იმ ღამით ადრე დავწვიქი, მაგრამ მოგვიანებით ბაბუაჩემმა ამომაკითხა საძინებელში, სასთუმალთან დამიჯდა და ძილისპირულზე ასეთ ამბავს მომიყვა:

„...უხსოვარ დროს, როცა ტყე კეთილი ხალხით იყო სავსე, ამ მხარეში ერთი ტომი სახლობდა, რომელსაც წესად ჰქონდა ხის თაყვანისცემა, ფრინველთა ენაც ესმოდა და სიმღერაც უყვარდა. მარტივი იყო მათი ცხოვრება — დღისით ტყის ნობათს აგროვებდნენ, მწუხრის ყამს ივანშმებდნენ ხოლმე და მერე, დიდი კოცონის ათინათზე შარ-

მაც უყვარდა ბუნების
წილში განმარტობა.
თვეზობა ნადირობა.
საქართველოს წარმტა-
ცი ბუნების მისი პეიზა-
ჟების ხილვით არის შე-
ქმნილი „ელეგია“ (1951
წელი). პიესა ჩელოსთ-
ვის, რომელმაც „გუდა-
მაყარის“ ფსევდონიმით
საქართველოს კომპოზი-
ტორთა კავშირის კონ-
კურსში გაიმარჯვა. შემ-
დგომი დიდი წარმატება
სიმფონიური მუსიკის
ჟანრში კომპოზიტორს
მოუტანა ბრწყინვალე მი-
ნიატურამ „საჭიდაომ“ —
ეს უკვე მომდევნო წელს,
და დღემდე შეუნელებე-
ლი ინტერესით ვისმენთ.
ფრიად მნიშვნელოვა-

ნია რევაზ ლალიძის ღვა-
წლი დრამატულ თეატრ-
სა და კინოხელოვნება-
ში. მისმა ოპერეტებმა
(„მეგობრები“, „კომბ-
ლე“) გარკვეული როლი
შეასრულეს ქართული სა-
ბჭოთა ოპერეტის გან-
ვითარებაში. საოცრად
ფაქიზად და ღრმად გრძ-
ნობდა კინომუსიკის სპე-
ციფიკას. ამ ჟანრში
მთელი სიგრძე-სიგანით
გამოვლინდა ლალიძის
განსაკუთრებული ალლო
და ხედვა.
უფრო მეტიც, ბევრი
საუკეთესო ფურცელი
მისი შემოქმედებისა სწო-
რედ ამ ჟანრთან არის
დაკავშირებული. გავი-
ხსენოთ ფილმები: „სა-

ბუდარელი კაბუჯი“. „ხე-
ვისურული ბალადა“. „გლახის ნაამბობი“. „ხე-
ვისბერი გოჩა“. „კეთილი
აღამიანები“. „რაც ზე-
ნახავს, ველარ ნახავს“. „მზიურ მხარეში“. „გან-
გაში“ და ყოველივე ნა-
თელი გახდება. ასე დაი-
ბადა ლალიძის სიმღერა
„ჩემო კარგო ქვეყანა“.
რომელიც სწორედ კი-
ნოფილმ „გლახის ნაამ-
ბობში“ აუღერდა. ეკ-
რანიდან მაშინვე პირდა-
პირ გადავიდა ხალხში
და აი განაგრძობს სი-
ცოცხლეს, ცოცხლობს
და ქლერს დამოუკიდე-
ბელი ნაწარმოების სა-
ხით.


გამორჩეული ბედი ეწე-
ია კომპოზიტორის ლი-
რიკულ პეროიკულ ოპე-
რა „ლეღას“. პატრიო-
ტიზმისა და უმანკო სი-
ყვარულის თემაზე აღ-
მოცენებულმა ამ ოპე-
რამ დიდი გამარჯვება
მოუტანა მის ავტორს —
სახელმწიფო პრემია.
„ლეღა“ წარმატებით და-
იდგა ჩეხოსლოვაკიაშიც.
ხალხის ჭეშმარიტად
საყვარელ კომპოზიტორს
რევაზ ლალიძეს, რეს-
პუბლიკის სახალხო არ-
ტისტს. შოთა რუსთა-
ველის სახელობის პრემი-
ის ლაურეატს, მიმდინა-
რე წელს დაბადებიდან
70 წელი უსრულდება.

დასანანიო, რომ გამოჩე-
ნილი ზელოვანი ვერ ეგე-
ბება თავის საიუბილეო
თარიღს და ასე ნაად-
რეველ დადუმდა მისი
ქნარი (10 წელია გამოა-
კლდა იგი ქართველ მუ-
სიკოსთა რიგებს), სამა-
გიეროდ, ჯანსაღი ლი-
რიზმითა და რომანტი-
კულობით. პოეტური
აღმფრენითა და შთა-
გონებით აღსავსე სიმღე-
რებში გრძელდება მისი
სიცოცხლე.

...ასე ფიქრობენ მისი
ნიჭია თაყვანისმცემლები
და, ეს უფრო მძაფრად
იგრძნობა მაშინ, როცა
მათ ნაფიქრალს თავის
წკრიალა ხმას უერთებს
კომპოზიტორის შვილი-
შვილი — ოთხი წლის
პატარა რუზო. მის მიერ
შესრულებული „ჩემო
კარგო ქვეყანა“ კიდევ
უფრო მეტ გამომსახვე-
ლობასა და ზემოქმედე-
ბით ძალას იძენს, რად-
გან ლალიძისეული გენები
ცოცხალია. რადგან ტრა-
დიცია ცოცხლობს,
ფრთებს შლის და არ
კვდება.

ჭეშმარიტად, რევაზ
ლალიძის მუსიკა უკვდა-
ვია!

ეთერ ლონდარიძე,
ხელოვნებათმცოდნეობის
აანდოდატი



თავდნენ ცეკვა-თამაშს და სიმღე-
რით ყვებოდნენ უძველეს ამბებს.
ისინი გრძნეულები იყვნენ, დიდი
ძალაც გააჩნდათ და ბევრი რამ შე-
ეძლოთ; ოღონდ ისიც კარგად იცო-
დნენ, ჯადოსნობა რომ კეთილიც
შეიძლება იყოს და ბოროტიც. ამის
მაგალითი კი თვალწინ ედგათ —
ტყისგარეთ სულ სხვანაირად ცხოვ-
რობდა ხალხი: ძლიერი მუდამ ჩაგ-
რავდა სუსტს, და მამაკაცს მუდამ
ქალზე მეტი პატივი მიეგებოდა.
თუმცა სწორედ ქალს აქვს მონიჭე-
ბული უნარი — საკუთარი სხეუ-
ლიდან შვას სხვა სიცოცხლე. სიმ-
ღერებიც თავშესაქცევი იცოდნენ
და არც ხმების შერწყმას დაგიდევ-
დნენ მაინცდამაინც.
ღრო გადიოდა. გარე სამყარო სულ

უფრო და უფრო იჭრებოდა უსიერ
ტყეში. ტყე იჩეხებოდა, ნადგურ-
დებოდა და ტყის ხალხის სამფლო-
ბელოსაც სავარგულებად გადაქცე-
ვა ემუქრებოდა. ჩვენი გაგებით,
ტყის ხალხი უკვდავი იყო, მაგრამ
გამრავლება კი არ შეეძლოთ. თუ
სხვა ტომის ხალხს არ შეერეოდნენ.
ერთ დღესაც გადაწყვიტეს, ტყის
სულის გადასარჩენად ორად გაყო-
ფილიყვნენ, ნაწილი გარე ხალხს
შეერთებოდა, წასულებს სიმღერის,
თხზვისა და ტყის სიყვარული გაა-
ტანეს. რაც სამარადისოდ მათ შთა-
მოპავლობასაც უნდა გადაცემოდა.
დანარჩენი იდუმალ ხევ-ხუფებში
ჩაიბაღნენ, ხის ფლეიტებს თლიან
და იმათ აწვდიან, ვისაც ტყის სუ-
ლის ნიშანი აღმოაჩნდება.

მარტოსულები არიან ისინი, ვინც
სხვა ხალხს შეერია და ისინიც, ვინც
ტყეში დარჩა. მაგრამ სხვა გზა არ
იყო...
„გესმის, მიმ?“ — ძილბურანში
ბაბუაჩემის ხმა ჩამესმა.
თვალეც არ გამიხელია, სამალავი-
დან სიგარების ყუთი გამოვადგინე,
ფლეიტა ამოვიღე და ბაბუს ვავუ-
წოდე.
„დამიკარი,“ — ვუთხარი ჩუმად.
ფრთხილად გამომართვა, ალერ-
სით გადაუხვია ხელი. ეტყობა, გეს-
მისო — წაიჭურჩულა, ტუჩებთან
მიიტანა და ნაზად ჩაბერა.

ინგლისურიდან თარგმანა
კათინო დუშაბაძე.

1942 წელი. ოთხშაბათი. ხუთის ხუთი წუთი. სრულიად ჩვეულებრივი ღღეა ამ დროისათვის. მაგრამ იგი ჩვეულებრივი არაა იმ კაცისათვის, ახლა რომ სწრაფად მიაბიჯებს პარკში. ქუჩას უახლოვდება, აქეთიქით იხედება და ერთ-ერთ სახლში შედის. უცნობი სადარბაზო, კარს ხურავს და ბოლო სართულზე აღის. ერთ-ერთი ჩვეულებრივი კარის წინ ჩერდება. „ჰანსენი“, — წერია კარზე. უცნობი აკაკუნებს, მაგრამ კარს არავინ აღებს. საათზე იხედება. ხუთის ოთხთმეტი წუთია. დრო ზუსტია. კიდევ ერთხელ სურს დააკაკუნოს, მაგრამ ქვემოდან ნაბიჯების ხმა ესმის. აქ, ზევით, დამალვა შეუძლებელია, ეს კარგად იცის და ადგილიდან არ იძვრის.

ამოდის ქალიშვილი. იგი შუა კიბეზე ჩერდება და ეკითხება:

— ჰანსენის ნახვა გინდათ?

— დიახ.

— ის ახლა აქ არ ცხოვრობს.

„როგორ? რატომ? რას ნიშნავს ეს? ახლა სად წავიდე?“ — ფიქრობს უცნობი.

ქალიშვილი ისევ იმ ადგილზე დგას და უცნობს შესცქერის.

— თქვენ მისი მეგობარი ხართ? — ეკითხება.

— არა, უბრალოდ ნაცნობები ვართ...

დაბლა კარის ბრახუნის ხმა ისმის. რამდენიმე კაცი სახლში შემოდის. უცნობი ნაბიჯების ხმას უსმენს და სართულებს ითვლის. „პირველი... მეორე... მესამე... პოლიციელები არიან“, — ფიქრობს იგი.

— წამოდი, — ეჩურჩულება ქალიშვილი, რომელიც ახლა მის გვერდით დგას. — ჩქარა, უცნობი კიბეზე ჩაჰყავს. ისინი ოთახში შედიან და ქალიშვილი კარს ხურავს...

ქალიშვილი და ალღი

როზე ნოილანდი

მოთხრობა

გადის საათები, დუმლის საათები... ქალიშვილს მოაქვს პური და ჩაი. ჭამებს, სევს, იყუჩებს. ამასობაში დაღამდა.

— შუქი ანთე! — ეუბნება ქალიშვილი. — ჩვენ უნდა გავიცნოთ ერთმანეთი. შენ, ალბათ. კავშირი დაკარგე, არა?

— დიახ...

— ჯერჯერობით შეგიძლია აქ დარჩე, — ეუბნება ქალიშვილი. — შევეცდები დაგეხმარო.

— როგორ?

— ნუ მეკითხები, მე ხომ არაფერს გეკითხები.

— შეგიძლია დამეხმარო?

— მგონი, შემიძლია.

— რა გქვია, ქალიშვილო?

— მიწოდე ანა.

— რამდენი წლისა ხარ?

— ოცდაორის...

* *

თენდება. მამაკაცი გულაღმა წევს და ქალიშვილს შესცქერის. მას ჯერ კიდევ ტკბილად ძინავს. ძილში სახ-

ლდანავადაც არ შეცვლია. მიმზიდველი, ბავშვური სახე აქვს.

— დილა მშვიდობისა, — ეუბნება ქალიშვილი. — კარგად გეძინათ?

— დიახ, — პასუხობს მამაკაცი. საუზმის შემდეგ ანა წიგნებზე უთითებს და ეუბნება:

— შეგიძლია კითხვით გაერთო. მე კი უნდა წავიდე. მომეცი შენი საბუთები.

— ვერ მოგცემ.

— თუ გინდა, რომ დაგეხმარო, საბუთები უნდა მომცე. ვასაგებია შენთვის?

— აჰა, გამომართვი.

— გმადლობთ. მივიდივარ. შუადღემდე დავბრუნდები.

* *

გადის ღღეები.

— სხვა გზა არაა, უნდა დაიცადო, — ეუბნება ერთ ღღეს ანა უცნობს და განაგრძობს: — ნეტავ სულ არ მოსულყავი.

ეს პირველი შემთხვევაა, რომ იგი დალონებულია. შავი თვალებით შესცქერის უცნობს და პასუხს ელოდება.



ორკესტრი 100 წლისაა

შარშან მოსკოვში გაიმართა სასულე ორკესტრების კონკურს-დათვალიერება. მონაწილეობას ღებულობდნენ იტალიის, გერმანიის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, პოლონეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, საქართველოს ორკესტრები. ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას იცავდა ზონის სასულე ორკესტრი, რომელიც საუკეთესო ხუთეულში გავიდა და სპეციალური პრიზიც დაიმსახურა. სწორედ ამ ორკესტრს შეუს-

რულდა წელს 100 წელი. ეს ღირსშესანიშნავი თარიღი ამას წინათ ზემოთ აღინიშნა ზონის კულტურის სახლში.

იუბილარმა ორკესტრმა საღამო გახსნა ანდრია ყარალაშვილის სიმღერით „სამშობლო“. ორკესტრის ხელმძღვანელმა ვაჟა ჩიხლაძემ ღიმილიანი პატივისცემით მოიხსენია უველა, ვი. საც ღვაწლი მიუძღვის ორკესტრის შექმნასა და მოღვაწეობაში.

მომარ შირცხალავა

— ანა. — ეუბნება უცნობი.
 ქალიშვილი დუმს, მამაკაცი სკამიდან დგება და, თავის აქ ყოფნაში პირველად, მის გვერდით ჯდება.
 — ანა, მე შეყვარებული ვარ.
 — ვიცი. — ეუბნება ქალიშვილი.
 — წავიდე?
 — არა.
 — რატომ?
 — მეც მიყვარხარ.

მეორე დღეს დილით, საუზმისას ანა ეუბნება უცნობს:
 — დღეს ერთ კაცთან წავიყვან, მას ერლინგი ჰქვია. ამიერიდან ის დაგეხმარება. აწი ჩემთან არ უნდა მოხვიდე, თუმცა ამის ახსნა შენ არ გჭირდება.
 — მაშინ ჩვენ ერთმანეთს დავკარგავთ.
 — არა.
 — არა?

— წერილს მოგწერ. — ეუბნება ანა. — ფოსტით არა. დაიხმანის სახელობის ბიბლიოთეკაში, ალბათ გეცოდინება. დიდი დარბაზის უკან ერთი პატარა ოთახია. იქ არქივია. მხოლოდ ძველი წიგნები აწყვია. ხანდახან მოგწერ, ხშირად არა. წერილს კარიდან მარცხნივ ზედა თაროზე მეხუთე წიგნში ჩავდებ.

— ეს საშუაში არაა?
 — არა, იმ ოთახში ახლა თითქმის არავინ შედის, რადგან წიგნებს არავის აძლევენ.
 — ხშირად არ უნდა მოხვიდე.
 — კარგი.
 — მოემზადე, — ეუბნება ანა. — უნდა წავიდეთ.

ჩუმად გადიან სახლიდან. ჯერ ფეხით მიდიან, შემდეგ ავტობუსით, ბოლოს კი — მატარებლით. ანა პატარა გოგონასავით ფანჯარასთან ზის და სახლებს ათვალიერებს. ქალაქს გასცდნენ და ახლა დაბის გავლით მიდიან. შემდეგ მატარებლიდან ჩამოდიან და ტყეში შედიან. ნელა მიუყვებიან ბილიკს.

ხეებს შორის კაცი გამოჩნდა.
 — აი, ერლინგიც, — ამბობს ანა.
 — გამარჯობათ. დაიგვიანეთ. მე უკვე წასვლას ვაპირებდი, — ამბობს ერლინგი.
 — მართალი ხართ, მაგრამ ამაზე ადრე არ შეგვეძლო მოსვლა, — ეუბნება ანა და დასძენს: — მე ახლა წავალ. კარგად იყავით. ნახვამდის.
 — ნახვამდის.
 მამაკაცები დგანან და ანას უცქე-
 რიან. მალალ ხეებს შორის იგი სუს-
 ტო და პატარა ჩანს.



— წავიდეთ. შევეცდებით მალე განახოთ იგი. — ეუბნება ერლინგი უცნობს და იცინის.

* *

1946 წელი. ოსლო. დაიხმანის სახელობის ბიბლიოთეკა. დიდი დარბაზი. მკითხველები. მრავალი კარადის თარო ცარიელია, წარწერები გვამცნობენ, რომ აქ ეწყობა გამოჩენილი მწერლების ნაწარმოებები. თითქმის ყველა ადგილი ა-დან ჰ-მდე ცარიელია. აქ ის ნაწარმოებები ეწყობა, ფაშისტებმა რომ დაწვეს. დაწვეს, მაგრამ ვერ გაანადგურეს.

ცარიელია ის ადგილი, რომელსაც ასო ჰ აქვს მიწერილი, აქ ეწყობა ჰაინეს ნაწარმოებები. დაუწვავთ პაბლო ნერუდას, რომენ როლანის, კურტ ტუზოლსკისა და სხვათა ნაწარმოებები. დიდი დარბაზიდან კარებს გაყვავართ პატარა ოთახში, რომელიც ძველი წიგნებითაა სავსე. ზედა თაროზე მეხუთე წიგნში დევს უმისამართო წერილი.

ოსლო, 1943 წლის აგვისტო.
 „ჩემო ძვირფასო!
 ეჰ, რა დრო დაგვიდგა, რომ სახე-
 ლითაც ვერ მოგმართავ, საქმე ძალ-
 ზე ცუდადაა, გუშინ კ. დაპატიმრეს.
 წუხელ მთელი ღამე დედამისთან
 ვავათენე, დანარჩენები მაგრად არი-
 ან. მაგრამ უკანასკნელმა კვირამ

დიდი დანაკლისი მოგვიტანა. ეჰ, ზოგჯერ არც კი მჯერა, რომ ასეთ დროს ერთმანეთი გვიყვარს, მაგრამ იგი უფრო გვაკაუებს. ხშირად ვი-
 გონებ იმ დღეებს, როცა ერთად ვი-
 ყავით.

დადგება დრო და ისევ გავივლით იქ, სადაც უკანასკნელად დავშორ-
 დით ერთმანეთს, მაგრამ გავივლით
 სხვაგვარად, სიცილით, ჩვენს ირგვ-
 ლივ იქნებიან მომღიმარი ადამიანე-
 ბი. ქვეყანა და მთელი სიცოცხლე
 ჩვენი იქნება. ხომ გჯერა, ეს იქნება
 გამარჯვება, ვინც ახლა წყვილიაღში
 ვიმყოფებით, გავემართებით სინთ-
 ლისაკენ, თავისუფალი და ბედნი-
 ერი.

ახლა უნდა წავიდე. ჯერ კიდევ
 საჭირო ვართ, როგორც ყოველთვის,
 ამ წერილსაც იქვე ვდებ. მჯერა, წა-
 იღებ. ყოველთვის, როცა ხელში
 ძველი წიგნი მიჭირავს, შიში მიპყ-
 რობს. ვაითუ ვერ შეძლო ჩემი უკა-
 ნასკნელი წერილის წაღება, დარწ-
 მუნებული ვარ, ჩვენ ერთი მიზნი-
 სათვის ვიბრძვით. მაშინაც კი, თუ
 ოდესმე ჩვენს წიგნში დარჩება წე-
 რილი, უკანასკნელი წერილი და არც
 ერთი ჩვენთაგანი არ მოვა მის წას-
 ლებად.

კარგად იყავი“.
 გამამანუშიდან თარგმანა
 ნოდარ ზასილაძემ.

სრავთი დიდი ფეხბურთელის შვილია თუ მამა სკადოქაბური ტრადიციის გაგრძელება. მაგრამ... შორეულ მავალითებს რომ არ გამოვეცილოთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მარადნახ ორვე მამა თამაშობს ფეხბურთს, სრულიად უღიმღამოდ, უკოდგვარი წარმატების გარეშე. ფრანც ბეკენბაუერის უფროსი ვაჟი შტეფანი (22 წლისაა) მამის ცეკლს გაყავს, თუკი სათამაშო აშაღლას გაავითავლისწინებით, იგი „კაიზერ ფრანცის“ მსგავსად, ცენტრალური მცველია.

მართალია, ამით ანალოგია მოვლდება. თუ ფრანცი პირელსაჩინოვან კლუბში, მიუნხენის „ბაიერნიში“ თამაშობდა (სხვა გუნდები რომ აღარ ვახსენოთ), მისი შვილი გამოიღის მესამე ლიგის „კიეკსში“ (ქ. ოფენბახი), არცთუ ნიჭი აქვდა, მაგრამ, გერმანულ უურნალობტა ცნობით, „ძალიან უყვარს ცხოვრება“, სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, დიდი სპორტული კარიერა მისგან აბსოლუტურად გამორიცხულია.

რა თქმა უნდა, მამის, ფეხბურთის „მეფედ“ წოდებული პელეს ჩრდილში იქნება ელ-

სონ ჩოლბი ნახიმენტო, რომელსაც ბრაზილიური ტრადიციის მიხედვით, უფრო ფსევდონიმით იცნობენ. ეს მატახელი კი ელნიო გახლავთ.

პელემ ამას წინათ განაცხადა, რომ ერთი მხარე მოხარულია — მისი შვილიც ცნობილი ფეხბურთელი გამოვლდა, აი, ერთადერთი, რაც მამას არ მოხწონს, ეს ელნიოს ამბულაა. თუ პელე შეუდარებელი თავდაშსმელი იყო, ელნიო „მხოლოდ“ შეკარგა.

არც ისე დიდი ხნის წინ ელნიო „გახასინჯად“ მიიწვივა მამამისის უოფილმა კლუბმა, მსოფლიოში განთქმულმა „სანტოსმა“ (სან-პაულუ). ახალგაზრდა შეკარგმ ჩააბარა ეს ძნელი გამოცდა და „სანტოსის“ სრულუფლებიანი წევრი გახდა. ამის შემდეგ მას ვადაცა „კარადა №10“, სადაც პელე ინახავდა თავის სპორტულ აღჭურვილობას (თქვამტა წელი ეს კარადა გამოკეტლი იყო).

ახლა „სანტოსი“ ასეთიანრად ანგარიშობს; თუ პელემ 1200-ზე მეტი გოლი გაიტანა, ვნახოთ, რამდენს გაუშვებს მისი შვილი. ერთი თავისებურებაც — ელნიო გაიზარდა ამერიკის შეერთებულ შტა-

ტებში და ამ ქვეყნისათვის ტრადიციულ სპორტის სახეობებშიც — კალათბურთსა და ამერიკულ ფეხბურთისაც გარკვეული წარმატება აქვს. ელნიო დაიბადა 1970 წლის 27 აგვისტოს, ქ. სანტოსში, სულ ცოტა ხნის შემდეგ, რაც ბრაზილიელებმა უკანასკნელად მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონობა, სწავლობდა „სენტქემისის“ უნივერსიტეტში, მაგრამ მალე მიატოვა იგი, რათა პროფესიონალი ფეხბურთელი გამხდარიყო. ამერიკის შეერთებულ შტატებში კლუბ „ნიუ იორკ გოტემო“ თამაშობდა, რომელიც 1987 და 1988 წლებში შტატის ჩემპიონი გახდა. ელნიომ კი საინტერესო რეკორდღც დაამყავდა — 22 თამაშში სულ 4 ბურთი გაუშვა.

ამას წინათ ელნიოს ესაუბრა რიველი — გამოჩენილი ბრაზილიელი მოკატბი, მამამისის უოფილი თანადელი. მან ახალგაზრდას ურჩია მიიღოს ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეობა, რათა საშუალება ჰქონდეს, ითამაშოს 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატში. რიველინო თვლის, რომ აშშ-ს ნაკრებში ელნიოს შეკარბს

პოსტზე სახიფათო მეტოქე, ცხადია, არ უყოლება. ერთერთ ამხანაგურ მატში რიველინომ ელნიოს ორი გოლი გაუტანა (შეხვედრა მექსიკაში გაიმართა). მაშინ თქვა: „ელნიო ერთადერთი მეკარე როდია, რომლის კარში ორი ბურთი გავიტანე, მაგრამ ეს მის რეპუტაციას რაიმე ზიანს კი არ აუყენებს. ელნიოს დიპოტენციალი და მშვენიერი ფიზიკური მოწყობები აქვს (180 სმ, 86 კგ).

ჭეჭკრობით კი ელნიო, ცხადია, მხოლოდ თავის ახალ კლუბ „სანტოსში“ თამაშზე ფიქრობს. „სანტოსის“ ცნობილი მეკარე სერჟიო ჰუავს, რომელიც ბრაზილიის ყოველწილი ნაკრების ღირსებასაც იცავს, ელნიოს ახლა მისი ქლუბლიორია, თუმცა მატჩების საკმაო რაოდენობაში მოწაწილეობს. მას ძალიან აქვს პეკე, ადრე პელეს ერთ-ერთი „საჭურველმეტრირველი“, ახლა „სანტოსის“ მთავარი მწვრთნელი და ეს ქება, როგორც ბრაზილიელი ექსპერტები თვლიან, მხოლოდ „ნახალბურთის მეფის“ მიმართ „რევერანსი“ არ ვახლავთ.

ლუქსემბურგის პარკში, გრძელ სკაშზე მშვიდად ძინავს ერთ ლოთი.

მცველი მორიდებით უხლოვდება მას, ადვიტებს და ეუბნება:

— შეგობარო, დასტოვოთ პარკი, კარი იკეტება.

— კარგო, კარგო, — ენაბორძიეთ მურჩულებს ლოთი, — დავეტოთ, მხოლოდ ევაღეთ, უხმაროდ, გეთაყვა.

ბულბურპილიო შეღარბა

— შეხე, ღეღეკო, როგორა ჰგავს ეს ძალიო ძია პოლს!
— რას ამბობ, შეფლო, როგორ შეძლება ასეთი შეღარბა?

— რატომ? გგონია ძალიო მიხვდა?

სიკაქალუკე

— გუშინ წყაულეზაზე თქვენი მეთულე ვნახე. იგი ისე ძლიერად ახველებდა, რომ სველას უურადლებას იყურებდა. ალბათ ავად არის, არა?
— ო, არა, უზრაოდ, ახალ კაბაში იყო მორთული და...

სასტუმროში

„პირდაპირ აღწვოთებულო ვარ, ნომერში არც საპონი, არც ხელნახოცი, არც წყალი მაქვს.“

— კი მაგრამ, ენა ხომ გაქვთ?!

— ენა? თქვენ რა, კატა ხომ არ გგონიათ?

პიკასოს ბარდაცვალების შემდეგ სალვადორ დალიმ განაცხადა:

გმონია, რომ პიკასოს ნამუშევრებში არის რომანტიკული მაგიდა და გიტირ ფსევდო ბადატრი-ალმაგოა. ის იმ დროს, როდესაც ჩემი ჯადოქ-რული ნამუშევრები გმონიც ტრადიციებს ეყრ-დუნობა. მი სრულადი არ მზავარ პიკასოს. მას აინტერესებს სინაინჯა, მი კი სულ უფრო და უფრო სილამაჟე მომრავს. მაგრამ ბენინსაის-ჩემი და პიკასოს — უკიდურესი გამოვლინები განიხი-რი სილამაჟე და ლამაზი სინაინჯა ღვთა-ებრივი.



ურათზე „ავტო-პორტრეტი რაჟა-ელის ყელით“ 1921 წელს დალი წერდა: — ხანდახან მე ვდგებოდი განთიადისა და ვმუშაობდი ოთხ-ხუთ სურათზე ერთად. ჩემთან მოქონდათ ტილოები დასახტად, მე კი ტანზე რეზინებით მიმაგრებუ-

სალვადორ დალი

წინამდებარე
„წინაბანი
დალინ მისხედვით“
და
„ბენინის დლიური“

ლი მქონდა აუარებელი ფუნჯი და მის ვემგავსებოდი. სამა-გვიროდ ეს საშუალებას მაძ-ლედა, ამომერჩია უველაზე სა-კირო ფუნჯი. მოგვიანებით შე დავიფრე უმარაგებიანი სპეცია-ლური კოსტუმის ტარება, რა-მელიც იხე იყო დათბუნული სხედასხვა ფერის საღებავე-ბით, რომ აზვარასხმულ რა-ინდ ვემგავსებოდი.

ოცდახუთიანი წლების გა-სენებისას დალი წერდა:

— პირუხამდე შოაღწის ხმე-ბმა ახალ მხატვარზე, რომლის შესახებ ლაპარაკობდნენ ესა-ნეთში, პიკასო ბარსელონაში უოფნისას ინახულა ჩემი სუ-რათი ქალაშვილის მუხრე“ და მაღალი შეუახება ზონცა მას. მე ვიცოდი, რომ პარიზ-ში ჩამოსვლისთანავე ჩემს შე-სახებ ტყუილი მიოქმამოთქმა შეწყდებოდა.

„ისეთი მისტიკოსისთვის, როგორც მე ვარ, აღქმითი-სის სუბსტანცია აღმანია, რომელიც შეიძლება ოქროდ გადაიქცეს“.

„არსებობს ორი უველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, რა-მელიც შეიძლება თანამედრო-ვე მხატვის ცხოვრებაში მო-ხდეს: 1. იყო ესანელი; 2. იყო გალა სალვადორ-დალი (ახე აწერდა ხანდახან მხატვა-რი თავის სურათებს, რომელ-საც უძვენიდა საყვარელ მე-ულელსა და მუხსა).“

შეკობა ნინო ონაშვილმა.

„უოველ დილით, გამოვლი-ძებისას, განვიციდი უდიდეს სიამოვნებას იმის გამო, რომ მე ვარ მხატვარი და ვკეთე-ბები ჩემს თავს გაოცებულს, თუ რა საოცრებას ჩაიღებოდა დღეს იგი“.

კრიმინალური ქრონიკა

რას კითხულაშენ პატრი-რამი

ბრანდა ვიშაელი, რომე-ლიც საპატიმროების ბიბლიო-თეკების განყოფილებას განა-გებებს ამერიკის შერთებულ-შტატების მერიდენდის შტატ-ში, დიდად ზრუნავს მეთიხ-ველთა სულიერი მოთხოვნი-ლებების დაკმაყოფილებისათ-ვის. ამ მიზნით, მან თხოვნით მიმართა თავის ამერიკელ კო-ლეგებს, რათა ეცნობებოათ მისთვის, თუ რაგვარი წიგნე-ბით უფრო არიან დაინტერე-სებულნი აშშ-ის პატარბები. როგორც ვაჟთი „ინტერნე-შილ ჰიარლდ ტრიბუნე“ წერს, პირველ ადგილზე აღ-

მონდა დარიგება: „სიყვარუ-ლის მარგალიტები: როგორ ვწეროთ სასიყვარულო წერი-ლები და სასიყვარულო პოე-მები“.

ელვის პრასლი — ნარ-კობრამის მსხვერპლი

ცნობილი ამერიკელი მომ-ღერალი ელვის პრასლი, რა-მელსაც თაყვანისმცემლებმა „როკ-ენ-როლის მეფე“ შერა-ქვეს, გარდაიცვალა არა გუ-ლის უშარისობისაგან, არამედ ნარკოტიკებისაგან. ეს დადას-ტურა ამერიკელმა ექიმმა ერეკ მითიხრენმა, რომელიც მონა-წილობდა პრასლის გვამის კვლევაში. ინტერვიუში, რა-

მელიც ვაჟთში „მემფის ქო-მერულ აილი“ გამოქვეყნდა, მედიკოსმა განაცხადა, რომ გადაწყვიტა, დაერღვია თავისი მრავალწლიანი დუმილი ამ სა-კითხის გამო, ამას წინათ გა-მოსულ ახალ წიგნთან „ილვი-სის სიკვდილი: მაინც რა მოხ-და სინამდვილეში“ დაკავშირე-ბით.

პოლიციის სამორიბეოში

პოლიციელი. თქვენ დაკა-ვებული ხართ სიჩქარის გადა-შეტებისათვის.

შაზვილი. ნება მომეცით ავიხსნათ...

პოლიციელი. აუხსნით კო-

მისარს, როცა იგი დაბრუნე-ბა, ახლა კი საკანში!

შაზვილი. ბოლოს და ბო-ლოში მოხსიენთ!

პოლიციელი. გაჩუმიდით და გახუციდით საკანში (გავიდა რამდენიმე საათი).

პოლიციელი. თქვენი ბედი, რომ ჩვენი კომისარია დღეს ქალიშვილს ახოვებს. იგი კარგ ხახიათზე უნდა დაბრუნდეს.

შაზვილი. მაგის იმედო ნუ ბეკნებათ. მე ვარ საცოლო.

სასამართლოში

მოსამართლე. თქვენ მოიპა-რით პალტო. მოითმინეთ, მო-ითმინეთ, თქვენ ზომ არ იდე-

კით ჩემს წინ აქ ამი წლის წინ პალტოს ქურდობაში ბრალდების გამო?

სამი. დემრო არა გწამთ.

როგორ ფიქრობთ, რამდენი ხანი შეიძლება კაცმა ერთი პალტო ატაროს.

დაპატარული ბავშვი

ინსპექტორი. პატარავ. ესე იგი შენ დედასთან ერთად მი-დიდი, მანანანების უურებამ გაგიტაცა და დაიკარგა. კი მაგრამ, რატომ არ ჩაეჭიდე დედის კალთას?

ლიმ. ის მინის იცვამს. მე ვერ ვწვიდები.

ენებით დიღვის ბაზარს!

გიზიდავთ ეგზოტიკური სამყარო?

ალბათ, კი.

თუ კი ასეა, დროებით გადავდოთ ყოველდღიური საფიქრალ-საზრუნავი, ხელი ჩავკიდოთ ჩვენს პატარებს და რომელიმე შაბათ-კვირას დიღვის მასივის ბაზარს მივავსუროთ.

მხოლოდ ერთი პირობით, იმ დღეს ნუ დაიტვირთებით სურსათ-სანოვაგით, ნუ გაიუფერულებთ იმ სიამოვნებას, რომელიც თქვენ აქ მოგვლით ცხოველთა და ფრინველთა მიკროსამყაროს ხილვისას.

ქართული ბაზარი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისებური კოლორიტით, განუმეორებელი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი შნოთი და ლაზათით.

თბილისის სხვა ბაზრებისაგან განსხვავებით თქვენ აქ მსოფლიოს ყველა კუთხის ფაუნის მობინადრეებთან გელით საინტერესო შეხვედრა.

უნდა ნახოთ, როგორ თავმომწონედ კოპწიაობენ გალიებში ლამაზბუმბულიან „სამოსელში“ გახვეული სხვადასხვა ფერისა და სახეობის ჩიტები; თვალს მოგჭრით ავსტრალიური ტალღისებური თუთიყუშის ფერთა გამა, მის გვერდით რომ ქანდარაზე წამოსკუბულა, უმშვენიერესი იაღონია, იქვე, წვერებიანი სიმპათიური ახალგაზრდა თავისკენ უხმობს დამთვლიერებლებს და იაპონურ და ავსტრალიურ ამადონს სთავაზობს შესაძინად.

მოშორებით კი, სადაც შუახანს გადაცილებული მამაკაცი თუთიყუშების მთელ გაღერება წარმოგვიდგენს, ნოდარ ტაბატაძეა. აქ უფრო დიდხანს უნდა შეჩერდეთ და გულისყურით მოუსმინოთ ფრინველთა სამყაროზე ფანტიკურად შეყვარებულ კაცს, თუ როგორი გატაცებით გიხსნის ამ მშვენიერი არსებების მთელ ავან-ჩაგანს.

თურმე ნუ იტყვიოთ, ადამიანის მსგავსად მათაც სცოდნიათ სიყვარული და სიძულვილი, შესძლებიათ გაბრაზება და გახარება, განსაკუთრებული ერთგულება და თავდადება შეიღებისადმი, სადაც დედა ჩიტზე არანაკლები მისია მამრს აკისრია. ის ყოფილა „პასუხისმგებელი“

მე-5 ნომერში გამომკვეთავალი პროსპორდის პანუხები:

თარაუშულად: 6. ქარდინა; 8. ფაფარი; 9. ქაშუა; 10. ღრუბელი; 11. ლაბტი; 13. აფკი; 15. ბინდი; 19. ხავეცი; 21. ირონია; 23. როსარიო; 25. ეკლოვა; 26. ნესოსი; 27. ლიობი; 29. მიახი; 31. წიგმი; 32. დურგალი; 34. ასმათი; 35. სირაჯი; 36. შედევრი.

შვეულად: 1. მჭილი; 2. ურდული; 3. ტირე; 4. ლაქია; 5. ზაბლონა; 7. მირიანი; 12. „ხირშორნი“; 14. სიმონსონი; 16. დარია; 17. გირო; 18. სიონი; 20. ქსანი; 24. „კოსმოსი“; 26. ხელეძა; 28. ბლაავი; 30. იდიში; 31. ნისია.


რედაქციის მისამართი:

880008, თბილისი 8, რუსთაველიძე პრ. 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პასუხისმგებელი მდივანისა და განყოფილებათა გამგებანი — 99-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-01-89.

რედაქციაში შემოსული მანკალა ავტორს არ უბრუნდება.

კატეგორია



თარაუშულად: 5. ძველი საბერძნეთის სოფელი, რომლის სახელიც ეწოდა გრძელ დისტანციაზე შეჭიბრებას სირიბლში; 7. ქართლის პიტიახშის ვარსკენის მეუღლე; 8. პირველი ქართველი ფოტოგრაფი; 9. დროში; 11. სახალხო მომღერალი შუა აზიაში; 13. ავტომობილისა და მოტოციკლის მექანიკური სახიგანაო საყვირი; 15. რისამე განვითარების საფეხური, პერიოდი; 16. ქართველ ემიგრანტთა დასახლება საფრანგეთში; 17. ძველი ქართული ექსპორმტი, მოკლე, რამდენიმე სტრიქონიანი ლექსი; 21. ატომის ბირთვში შემავალი ნაწილაკი; 23. ერთმანეთთან შეერთებული ორი ბრტყელძირა ნავი, ზედ დაგებული ფიცრებით; 24. ფიზიკური ვარჯიში; 25. თანამედროვე ავტორების ლიტერატურულ ნაწარმოებთა კრებული; 26. ერთგვარი საგნების რიგი, ჭგუფი; 30. აზიის სახელმწიფო; 31. მეცნიერება ბუნების, ადამიანთა საზოგადოებისა და აზროვნების კანონების შესახებ; 32. ფრთისებრფოთლიანი დაბალი მცენარე; 33. საფრანგეთის ქალაქი.

შვეულად: 1. ზღვის დიდი ძუძუმწოვარი ცხოველი; 2. ზ. ფალიაშვილის ოპერის პერსონაჟი; 3. ხელზე მოსამსახურე; 4. ექიმი ძველად; 6. პარკოსანთა ოჯახის ბალახოვანი მცენარე; 7. გარკვეული წესით გამოყვანილი თიქის ტყავი; 10. ქალაქი-მუზეუმი ზოლანდიაში; 12. პუჩინის ოპერა „ტოსკას“ პერსონაჟი; 13. ხომალდის განუწყვეტელი ცურვის პერიოდი; 14. ამერიკის შტატი; 18. რთულყვავილოვანთა ოჯახის ეკლებიანი ბალახი; 19. უ. შექსპირის ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი; 20. ფარული შესაძლებლობა; 22. ერთ ბაზზე ნაწერი ან ნაბეჭდი სიტყვების რიგი; 26. ევროპის სახელმწიფო; 27. ბალახოვანი დეკორატიული მცენარე; 29. ადამიანთა მოღვაწის წინაპარი იუდაისტურ და ქრისტიანულ მითოლოგიაში; 30. ფინური აბანო.

შეადგინა ციალა ამაშუაქელა.

გარეკანის პირველ გვერდზე: ანსამბლ „მერანის“ სოლისტი თეკლე ჩანელიძე. ფოტო ბონდო დვალისვილისა.
მეოთხე გვერდზე: ფოტო იური რიდალოვისა.

გადაეცა წარმოებას 19.04.91. ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.05.91. ფორმატი 60x90/8. ფიზიკური ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,89. ტირაჟი 29.000. შეკვეთა 848. ფასი 70 კაპ.

საქართველოს ურუნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა, 880009, თბილისი, 8. კოსტავას, 14.

Ежемесячный независимый общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Костава, 14. Типография газетно-журнального издательства «Самшобло». Адрес редакции: 380008 Тбилиси, 8. пр. Руставели, 42.



როგორც გამრავლების სტადიაში მყოფი მდედრის, ასევე ახლად გამოჩეკილი ბარტყების კვებით უზრუნველყოფაში.

ახლა თევზებისკენაც გადავინაცვლოთ: მხოლოდ მხატვრის ფუნჯსა და ყალამს თუ ძალუძს მათი სილამაზის ფერებში გადმოცემა.


სხვადასხვა ზომისა და ფორმის მოლიველივე აკვარიუმებში ელვის სისწრაფით მოძრაობს ოქროს თევზი — „ტელესკოპი“, „მრგვალკუდა“, „სკალიარი“, „მოლინეზი“ და „მინორი“. „კუდმახვილა“, „ბარბუსი“ და „ხალიანი“...

იქნებ კურდღლები მოგეწონოთ ან პატარა ზაზუნები. ვერც მოლულუნე მტრედების მიმართ დარჩებით გულგრილნი.

გვერდით ეზოში კატებისა და ძაღლების დიდი არჩევანია, გულზე მიუკრავთ პატრონებს პატარა ხატულა კნუტები და ფუმფულა ლეკვები, თითქოს ვერც იმეტებენ გასასხვისებლად.

თორმეტ-ცამეტი წლის ბიჭი ჩაჩივებულ ხელით ჩაბლაუჭებულია გაძალიანებულ „გონჩს“.

— რას აფასებთ? — ვეკითხები უნებურად.



— გავყიდო? — წყლიანი თვალებით გადაულაპარაკა თანატოლს.

პასუხს არ დაველოდე. შემენანა „მეგობრების“ დაშორება.

უთუოდ ეწვიეთ ღიღმის ბაზარს, იქნებ გაგიჩნდეთ სურვილი, საკუთარ ჭერქვეშაც მოიწყოთ ეგზოტიკური მიკროსამყარო. მერწმუნეთ, ეს თქვენ ღიდ ესთეტიკურ და სულეერ სიამოვნებას მოგანიჭებთ.

